ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 11 თებერვალი 1999 №23 (796) | ფასი 50 თეთრი


2

## ნემსაძე მარადონას გადაეყარა




გიორგი „რეჯანას“ 25 ნომერია

2

## ლანდად მოჩანს ტაილანდი

მეფის თასი უქართველებოდ ჩატარდება

7

## მან იცოდა ფეხბურთი

ქართველებში საბჭოთა ნაკრებში

## ვლადიმერ გუცაევი





იგი ბევრის კერპი იყო, ლამაზი, ორიგინალური, სხვებზე რომანტიკული

8

საქართველოს ჩემპიონატი

## 14 ტური

დინამო 75:74 სდასუ
აზოტი 113:85 თსუ
შევარდენი 85:106 კოლხა

10

## ტაისონს პარაშასთან ვინ დასვამს



ამ პატიმარს იზოლირებული საკანი და ლამის ქურდის წილი პატივი ერგება ციხეში, ვინაიდან მაიკ ტაისონი ჰქვია

# VENI, VIDI, VICI

ნიკოლა ანელკამ მეორე ტაიმის რვაწუთიან მონაკვეთში, „უემბლიზე“, ინგლისის ეროვნულ გუნდს ორი გოლი გაუტანა — მსოფლიოს ჩემპიონმა, საფრანგეთის ნაკრებმა, ღირსეული გამარჯვება მოიპოვა. ფრანგებს ინგლისის დედაქალაქის ისტორიულ სარბიელზე, 1957 წლის მერე, ხუთ თამაშში არ მოეგოთ.

ანელკამ, რომლისთვისაც „უემბლიზე“ გოლის გატანა უცხო ხილი არ გახლავთ, რადგან ლონდონის „არსენალის“ შემადგენლობაში ინგლისის თასის ფინალი აქვს მოგებული, პირველად ზინედინ ზიდანისა და ლილიან ტურამის ხელშეწყობით მიაღწია მიზანს, მეორედ კი იმავე ზიდანის წამოწყებული და კრისტოფ დიუგარის გაგრძელებული კომბინაცია დააგვირგვინა.

ფრანგთათვის ეს, მარტის მერე, მე-17 წაუგებელი მატჩი გახლდათ, ცნობილმა ნახევარმცველმა, დიდიე დეშამპმა, კი ეროვნული გუნდის მაისურა 82-ედ ჩაიცვა და რეკორდსმენ მანუელ ამოროს გაუტოლდა.

დროებითი მწვრთნელის, ჰოვარდ უილკინსონის, დარიგებული ინგლისელები მიზანთან აშკარად ახლოს ეთხელ იყვნენ: მაიკლ ოუენს ფრანგთა მეკარემ, ფაბიენ ბარტეზმა, არ გაატანინა.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი



REUTERS ფოტომატიანე

ინგლისი — საფრანგეთი 0:2. მასპინძელთა ყმაწვილი თავდამსხმელი მაიკლ ოუენი მსოფლიოს ჩემპიონებს ბიქსენტე ლიზარაზუს (№3) და ლორან ბლანს შუაში მოუმწყვდევიათ

# სტეფანიამ რა ჰქმნა




მე მოვედი! მოკრძალებით შეხსნა კარი ვლადიმერ სტეფანიამ, ნბა-ს მოწიწებით თავი დაუკრა და იქნებ ერთ დროს ჩვენთვის არაფრის მთქმელი „სიეტლ“ „გოლდენ სტეიტის“ დაპირისპირება ქართულ სპორტს სამუდამოდ შეუსისხლხორცა.

9 თებერვალს ისტორია არავის დაანებებს, ვლადიმერ სტეფანიამ ესოდენ ნანატრ ზღურბლს გადააბიჯა და საკალათბურთო ტახტრევანთან შორიახლოს ჩაუშვა ღუზა.

მისი დებიუტი ზებგერითების შემადგენლობაში სწორედ რომ „გოლდენ სტეიტთან“ შედგა. ქართველმა ათი წუთი დაჰყო მოედანზე, გუნდს ორი ქულით შეეწია, ერთი მოხსნა, ერთი ჩაჭრა და ორი დაფარებაც მიითვალა.

# ქართველი ფეხბურთის ვარსკვლავებთან

## ნემსაძე მარადონას შეხვდა



გიორგი ნემსაძე

სხვისი რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენ საქართველოს ნაკრების კაპიტნის, გიორგი ნემსაძის ამ ნაბიჯს წინგადადგმულად ვთვლით. არც შვეიცარია და „გრასჰოპერი", არც საბერძნეთი და „ოლიმპიაკოსი", არც დანია და „ბრონდბიუ"...
ამათგან ერთ-ერთში გიორგი სეზონნახევარს თამაშობდა, დანარჩენი ორი კი თავისთან ეპატიჟებოდა.
ნემსაძემ ყველას უარი უთხრა. ადგა და იტალიაში გადაბარგდა. იქ მას სერია B-ში მოთამაშე „რეჯანა" ელოდა. მერე რა, რომ ჩვენებურად მეორე ლიგის გუნდია? იტალიური კლუბი მაინც მრავლისმეტყველია.
ეროვნული ნაკრების კაპიტანმა ბევრი აღარ დააყოვნა. დაადო თავი და აპენინებს მიაშურა. ჯერ 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონს მარკო ტარდელის შეხვდა, მოგვიანებით „რეჯანას" მენეჯერს, წარსულში ასევე ცნობილ ფერნანდო დი ნაპოლის, მერე კლუბის პრეზიდენტსა და მწვრთნელს და გადაწყდა — გიორგი „რეჯანას" ფეხბურთელია, 25 ნომრით და სამწელიწადნახევრით, ოღონდ...
იტალიაში მოთამაშე პირველი ქართველი, ასევე პირველ ინტერვიუს კლუბ „რეჯანას" საწვრთნელი ბაზიდან „სარბიელს" აძლევს:

**— გიორგი, „რეჯანას" შემადგენლობაში უკვე ითამაშე...**

— ორი კვირაა, ახალ კლუბში ვვარჯიშობ და კვირას პირველად ვითამაშე. მწვრთნელმა, ატილიო პეროტიმ, მითხრა, მეშინია პირდაპირ ძირითადში გათამაშო, ჯერ გარედან დააკვირდი გუნდს, მეორე ტაიმში კი აბა, შენ იციო. მგონი, კარგად ვითამაშე. ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელმაც შემაქო და პარტნიორებმაც. ისე, „კრემონეზესთან" გოლის გატანის რეალური შანსიც მქონდა, მაგრამ არ გამიმართლა, ცარიელი კარიდან ბურთი მეტოქე მცველმა გამოიტანა.

**— იტალიასთან შეგუება არ გაგჭირვებია?**

— არა, რას ამბობ. კონტაქტში უცებ შემოდიან. არავის უგრძნობინებია, რომ უცხოელი ვარ. არავითარი ბარიერი, თავი საქართველოში მეგონა. ეგ კი არა, „რეჯანაში" სულ ორიოდ დღის ჩასული ვიყავი, გია, გიაო, გავიგონე, აივნიდან გადავიხედე და... თანაგუნდელები მოსულიყვნენ, სავახშმოდ მეპატიჟებოდნენ. სამწუხაროდ, იმ დროს არ მეცალა, პირადი საქმეებით ვიყავი დაკავებული და უარი ვუთხარი. აწი თანაგუნდელებს თავად მოვიწვევ.

**— ისევ სასტუმროში ცხოვრობ?**

— არა, „კრემონეზესთან" თამაშის დამთავრებისთანავე ციურიხში ჩავფრინდი და ცოლ-შვილიანად უკანვე დავბრუნდი. კლუბმა ბინა დამახვედრა. იმ დღიდანვე ცალკე ვცხოვრობ.

**— „რეჯანას" მწვრთნელ პეროტისთან გასაუბრება მოგიწევდა?**

— მასთან თითქმის ყოველდღიურად მიხდება ურთიერთობა. დაახლოებით 10-15 წუთს პირისპირაც ვსაუბრობთ. თავად მეკითხება, შენ რომელ პოზიციაზე ითამაშებო...

**— და რას პასუხობ?**

— იტალიელები ოთხი შუა ნახევარმცველით თამაშობენ — ორი საყრდენია, ორიც — გამთამაშებელი. ჩემთვის სულ ერთია, სადაც გსურთ იქ ვითამაშებ-მეთქი, ვუპასუხე. „კრემონეზესთან" მატჩში პეროტიმ საყრდენი ნახევარმცველობა დამავალა.

**— „რეჯანაში" ერთი რუსიც ყოფილა...**

— ჰო, მასაჟისტი გვყავს რუსი. ადრე მოსკოვის „სპარტაკში" მუშაობდა. სხვათა შორის, მასთან ვმეგობრობ კიდეც.

**— სხვასთან?**

— მიჭირს ვინმეს გამოყოფა. ჯერ ერთი, ახალი მისული ვარ, და იმიტომაც, რომ ყველა ძალიან შემიამხანაგდა. ვცდილობ, ყველასთან ვიმეგობრო. მართლაც კარგი ბიჭები არიან.

**— კლუბის პრეზიდენტთან თუ გქონია საერთო?**

— როგორ არა. ფერარინისაც ვესაუბრე. რა ვიცი, დამპირდა და მეც იმედი მაქვს, რომ უკეთეს კლუბში გადასვლის შესაძლებლობა თუ მომეცა, ხელს არ შემიშლიან.

**— „რეჯანას" გეგმებზე არ გისაუბრიათ?**

— საკმაოდ მოვლონიერდით, წლეულს სერია B-ში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაგვიჭირდეს, სამომავლოდ კი უძლიერესთა რიგებში დასაბრუნებლად ვიბრძოლებთო, ასე მითხრა.

**— ქართველებს თუ იცნობენ, იტალიაში შენი თამაში თუ ახსოვთ?**

— ჩემი პერუჯაში თამაშის რა გითხრა, მაგრამ საქართველოზე ერთობ კარგი წარმოდგენისა რომ არიან, ვფიქრობ, ჩემი მტკიცება არ სჭირდება. ფერარინიმ ისიც კი მითხრა, თქვენი პერუჯაში თამაშის შემდეგ ქართველების რეიტინგმა ერთიორად აიწიაო.

**— იტალიაში ხარ, ნუთუ ვინმე ცნობილ ფეხბურთელს არ შეხვედრიხარ?**

— მარადონას.

**— ეგ როგორ?**

— „რეჯანას" მენეჯერი ფერნანდო დი ნაპოლი მარადონას ძმაკაცია. ჰოდა, დი ნაპოლი ძალიან დამიახლოვდა. ერთხელაც მასთან ერთად ვიყავი და... თვალებს არ დავუჯერე, ჩემს წინ დიეგო მარადონა იდგა. არაფერი, ძალიან მომერიდა, რა მეთქვა, არ ვიცოდი. ბოლოს ერთიღა გავიგე, ის, რომ მარადონა „რეჯანას" და დე ნაპოლის ხშირი სტუმარია. მენეჯერიც შემპირდა, მასთან კიდევ მრავალჯერ შეგახვედრებო.

**ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ**

## ჩერნომორეცთან წაგება, ვარდართან?

ბულგარეთის ქალაქ ნესებრში შეკრებაზე მყოფმა ფოთის „კოლხეთმა" გუშინწინ პირველი საკონტროლო შეხვედრა გამართა. კოლხები შავი ზღვისპირეთს 7 თებერვალს ეწვივნენ და ქალაქ ნესებრის ამავე სახელწოდების სასტუმროში დაბინავდნენ. ეროვნულ ჩემპიონატში ერთ-ერთ ტიტულოვან გუნდს ბულგარულმა ნესებრმა გულითადი მასპინძლობა გაუწია. მათ ფოთელებს მოსამზადებლად საუცხოო პირობები შეუქმნეს. კოლხებმა უკვე სამჯერადი ვარჯიშებიც ჩაატარეს.

ბულგარეთში გასამგზავრებელი „კოლხეთის" შემადგენლობა ამასწინანდელ „სარბიელში" გაცნობეთ. გუშინწინ კი, როგორც მოგახსენეთ, ფოთელებმა პირველი საკონტროლო ამხანაგური მატჩიც გამართეს. მათი მეტოქე, ბულგარული პირველი ლიგის ბურგასის „ჩერნომორეცი" იყო. ეს გუნდი შარშან პირველ ლიგაში გამოდიოდა, გათამაშების ცხრილში მეოთხე ადგილზე გავიდა, უმაღლეს ლიგაში გადასულ „შუმენს" მხოლოდ მოგებათა რაოდენობით ჩამორჩა. წელს „ჩერნომორეცი" კვლავაც ბულგარულ ელიტარულ ლიგაში გადასვლას ლამობს, ბულგარეთში სეზონი არ განახლებულა, მაგრამ „ჩერნომორეცს" ჯერჯერობით მეორე საფეხური უკავია. ბულგარული და ქართული ფეხბურთის დონის გათვალისწინებით, სამწუხაროა, რომ ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი ლიდერთაგანი, ბულგარეთის პირველი ლიგის გუნდთან სამარცხვინოდ მარცხდება. თუმცა ეს მარცხი შეიძლება ფოთელთა ახალგაზრდული შემადგენლობის გამ-ოუცდელობას დავაბრალოთ. ასეა თუ ისე, „კოლხეთმა" ბურგასის „ჩერნომორეცთან" 1:4 წააგო. ეს შეხვედრა ფოთელებმა ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს:

ჩემია, ანჯაფარიძე (თედეევი), ტორჩინავა, ებრალიძე, შავგულიძე, ღლანიძე, კალანდაძე (ბაჩილავა), გიორგაძე (ბურკვაძე), ჩადუნელი, გვასალია (ბურჭულაძე), კრასოვსკი.

ამ შეხვედრის პირველი ნახევარი ბრძოლისუნარიანობით გამოირჩეოდა და ფრედ 0:0 დასრულდა, მეორე ნახევარში კი ფიზიკურად უკეთ მომზადებულმა ბულგარელებმაც იძალეს და ანგარიშსაც სოლიდური სახე მისცეს. ქართველთაგან პრესტიჟის ბურთი ჯონი კალანდაძის ნაცვლად შეცვლაზე შესულმა სპარტაკ ბაჩილავამ გაიტანა. ამ მატჩში ტრავმირებულმა მამუკა ბულუხიამ და მცველმა ელგუჯა პაპავამ ვერ ითამაშეს.

„კოლხეთი" უკან 21 თებერვალს დაბრუნდება, მანამდე კი ფოთელებს დღეს, 14, 16 და 19 თებერვალს ამხანაგური მატჩების გამართვა დაუგეგმავთ.

დღეს კი „კოლხეთი" ერთ დროს ჩვენს მოწინააღმდეგეს, 1996 წლის ზაფხულში უეფას თასზე მონაწილე „სამტრედიის" მეტოქე მაკედონიურ სკოპიეს „ვარდარს" შეხვდება.

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ**

## ტაილანდი: წადით, ტოლი ნახეთ...

ახლა უკვე საბოლოოდ გეტყვით: ტაილანდის ტურნირში საქართველოს ნაკრები მონაწილეობას აღარ მიიღებს. როგორც ფიფას მატჩ-აგენტმა ვილი კონრაკმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მოხელეებს გუშინ აცნობა, თურმე აზიელებს უკვე გადაუწყვეტიათ, რომ ქართველების მიწვევას ბრაზილიელ ახალგაზრდათა დაპატიჟება უჯობთ.

მენეჯერი რაღაც-რაღაცეებს მიედ-მოედო, ქართველებს ყველაფერი აუხსნა და განუმარტა, მაგრამ თქვა, დიდი ბოდიში, ეს ტურნე არ გამოვიდა, თუმცა გპირდებით, შესარჩევი მატჩების დაწყებამდე ერთ-ორ ამხანაგურ მატჩს აუცილებლად გაგიჩარხავთო.

ვილი კონრაკმა თავი რომ ვერაფრით გაიმართლა, ისღა დასძინა, ტაილანდელებისას რას გაიგებ, არც მე ვიცოდი, მეფის თასზე ბრაზილიის ახალგაზრდულ ნაკრებს თუ იწვევდნენო.

ჩვენები კი, რომლებიც კონრაკისა და ტაილანდელების იმედად იყვნენ, ხვალიდან ახალი ვარიანტების ძიებას შეუდგებიან. იქნებ 20 მარტამდე ახალი ამხანაგი გაიჩინონ.

**ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ**

ბადრი კეთილაძის ფოტო



ანდრო მიზანდარი (№9) — ირანელთა ჰეთ-ტრიქითა დამთრგუნთველი

## ირანელებმა მიხაკები გვესროლეს

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ 4:1 ᲘᲠᲐᲜᲘ**

1:0 მიზანდარი (5), 2:0 ზოიძე (8), 3:0 მიზანდარი (17), 3:1 მეჰმანდუსტი (19), 4:1 მიზანდარი (35)

ეჰ, აღმოსავლეთი, აღმოსავლეთი... მეტად უცნაურები არიან აზიელები, ბევრჯერ სასიამოვნოდაც უცნაურები. ჰოდა, ამდგარა ერთ დილასაც ირანის მინი-ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი და თავისი „მომცროდ მობურთალეებისთვის" ამხანაგური მატჩების ჩატარება გადაუწყვეტია. მეტოქედ კი ევროპის თოთო შენაძენი ქვეყნის ნაკრები შეუგულებია. ჩვენებსაც აზიელთა წინადადება თავაზიანად მიუღიათ და შედეგად ირანის ნაკრები თებერვლის პირველი რიცხვებიდან მინი-ფეხბურთშემოპარულ სპორტის სასახლეში წარუდგა ქართველ გულშემატკივარს. წარდგენა კი ერთობ აღმოსავლური იყო — ირანელები სარბიელზე წითელი მიხაკებით გავიდნენ. გავიფიქრე, სტუმრები ამ ორიგინალურ საჩუქარს მეტოქე ფეხბურთელებს მიართმევდნენ. თქვენც არ მომიკვდეთ, აზიელები სპორტის სასახლის ტრიბუნაზე მიყუჟულ სიცივისგან გათოშილ გულშემატკივრებს მოგვიტრიალდნენ და...

სტუმრებმა, ტრიბუნისკენ ნასროლ მიხაკებისფერ მაისურებში რომ გამოწყობილიყვნენ, რიხიანად დაიწყეს მატჩი. ირანელები შარშანწინ აზიის ჩემპიონები გამხდარან, მინი-ფეხბურთის პირველ მსოფლიოს ჩემპიონატზე კი (1992) სულაც მეოთხე ადგილი დაუკავებიათ. ჰოდა, შეუტიეს ირანელებმაც, თუმცა ჩვენებმა მალევე დაალაგეს თამაში და მეხუთე წუთზე სოლოლაშვილის ჯარიმიდან დაგორებულ ბურთს მიზანდარმა ლონივრად დაჰკრა...

იგივე მიზანდარის და ზოიძის კარგი თამაშის წყალობით პირველი ნახევრის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ანგარიში 3:0 იყო ქართველთა სასარგებლოდ. თუმც შესვენებამდე ანგარიში მაინც შეიცვალა — კონტრშეტევაზე სტუმრებმა ერთი ბურთი გაქვითეს. მეორე ტაიმში სპარსელები უფრო სოლიდურად გამოიყურებოდნენ, ბურთსაც ხშირად ფლობდნენ და სახიფათო მომენტებიც ბლომად შექმნეს ანასაშვილის კართან, თუმცა ქართველი მეკარე შეუვალი იყო. მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე კი მიზანდარმა შორეული ეფექტური დარტყმით მეოთხე ბურთი გაიტანა ირანელთა კარში და სტუმრებს „უკეთესი მომავლის იმედი" დღევანდელი მატჩისთვის დაუტოვა (დღეს ეს გუნდები მეორე ამხანაგურ შეხვედრას ითამაშებენ).

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, გუნდი ურიგოდ ნამდვილად არ გამოიყურებოდა. მართალია, ამას წინათ ევროპის ჩემპიონატის მილმა დავრჩით (ჩვენმა ნაკრებმა შესარჩევ ეტაპზე მხოლოდ იტალიასთან წაიფორხილა), მაგრამ კონტინენტზე ქართველ მინი-ფეხბურთის მიმდევართ თავიანთი წონა ჰქონიათ და რეიტინგში მეათე ადგილზეც ყოფილან. ხოლო რუსულ „ფუტბოლ რევიუს" თავის რეიტინგში საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრები ხუთეულშიც შეუყვანია.

წლეულს ევროპის ჩემპიონატი ესპანეთში იმართება. როგორც ჩანს, მასპინძლებს ქართველთა წარჩინება არ გამოპარვიათ და ჩვენი ნაკრები სპარინგ-პარტნიორად მიუწვევიათ. ესპანეთში ქართველები ორ შეხვედრას ჩაატარებენ — ქვეყნის მინი-ფეხბურთის ეროვნულ ნაკრებთან და კლუბ „სალამანკასთან".

**ᲞᲐᲐᲢᲐ ᲫᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ**

ფირმების რეგისტრაცია
ᲐᲣᲓᲘᲢᲘ
ოფშორული კომპანიები
☎ 93-52-34
8-77-42-20-59
რუსთაველის 19

# დევაძე გააშავეს და დააშავეს



აკაკი დევაძეს ტრავმამ ისევ შეახსენა თავი

ვინაა ბოლო ხნის ყველაზე ნიჭიერი ქართველი მეკარე? საეჭვოა, ვინმემ დევაძეზე წინ სხვა დააყენოს. ვინაა, ყველაზე დათარსული ქართველი მეკარე? დევაძე აქაც პირველთა შორისაა. რამდენი ტრავმა, რამდენი უიღბლობა, ამან კაკოს საქართველოს ნაკრების ძირითადი მეკარის მაისურიც დააკარგვინა. თუმცა, ვლადიმერ გუცაევმა დევაძე რამდენჯერმე გაიხსენა. ბედი არ გინდა, რუსეთთან სათამაშოდ ისრაელიდან ჩამოსული მეკარე ახლა ვარჯიშზე დაშავდა.

აშდოდის „ირონის" კარის დარაჯი მწყობრში მაინც ჩადგა და ჩვეულადაც თამაშობდა, რითაც გუცაევის ყურადღება კვლავ მიიპყრო და ტაილანდში სათამაშოდ გამოიძახა. ახლა საქმე ისეა, ნაკრები ტაილანდში ვერ წავა, მაგრამ პირიქითაც რომ იყოს, საეჭვოა, დევაძე ნაკრებს დაეხმაროს.

ისრაელის ჩემპიონატი ორი ტურის განახლებულია და კაკო ორივე მატჩში დაშავდა — ჯერ თელ ავივის „მაკაბისთან" 65-ე წუთზე, სანამდეც 4 გოლიც გაუშვა და ორი ამდენიც მოიგერია, მერე კი ქვარ სავას „ჰაპოელთან" მეათე წუთზე, როცა ანგარიში 0:0 იყო.

ერთი სიტყვით, წავიდოდა თუ არა საქართველოს ნაკრები, ეს ერთია, ხოლო გაჰყვებოდაა თუ არა დევაძე ქართველებს აზიაში — მეორე.

**ვახტანგ ბზიკაძე**

# ზესტაფონელთა მარადი ოცნება

## „მარგვეთი" დაბრუნებაზე ფიქრობს

ზესტაფონის „მარგვეთი" ის გუნდია, რომელსაც წარსულის სიტკბოება და სიმწარე ერთნაირად ახსოვს. „მარგვეთი" უძლიერესთა შორის ვიცე-ჩემპიონიც ყოფილა და პირველი ჯგუფიც სანატრელი გახდომია. ბოლო დროს არნახულადაც გაუჭირდათ ზემო იმერლებს, მაგრამ ჯერ ტრადიცია, მერე კი თავმოყვარეობა არ აძლევდათ უფლებას, ბედს შერიგებოდნენ. ბოლოდროინდელ უსიამოვნებებს თავდაღწეული პრეზიდენტი, ვასილ ხაჭაპურიძეც საქმეს შეუდგა და „მარგვეთი" პირველ ჯგუფში დასაბრუნებლად იბრძვის.

ზესტაფონელებმა მიზნის მისაღწევად ასევე იმერლებს, ვანელებს და ტყიბულელებს უნდა გაუსწრონ. დასავლეთი ზონის ა ქვეჯგუფში პირველ სამეულს სწორედ „სულორი", „მარგვეთი" და „მეშახტე" შეადგენენ.

„მარგვეთმა" პირველ წრეში ორივე კონკურენტი საკუთარ სტადიონზე მიიღო. „მეშახტეს" 2:0 მოუგო, ხოლო „სულორმა" ქულა აართვა მდევარს.

სწორედ ვანელთა წინსვლამ ჩააფიქრა კლუბის ხელმძღვანელობა და მეორე წრის დაწყებამდე საფუძვლიანად გაძლიერება გადაწყვიტეს. გაზაფხულისთვის, უკვე რახანია, გუნდს წარმოშობით ზესტაფონელი, ადრე „შევარდენსა" და თსუ-ში ნამუშევარი ავთანდილ ნებიერიძე ამზადებს. „მარგვეთს" დაუბრუნდა მირიან გეწაძე, რომელიც პირველ წრეში „მერანში" ბურთაობდა. ფოთის „კოლხეთიდან" წამოსულმა დავით ნოზაძემ სხვაგან თამაშს „მარგვეთში" დაფუძნება არჩია. დედაქალაქური „ზოოვეტიდან" რიკოთს გაღმა სათამაშოდ წასულმა შალვა ბიწაძემაც ზესტაფონელებთან დარჩენა ისურვა.

„მარგვეთის" მესვეურებმა სამკაციანი შევსება არ იკმარეს და კიდევ ერთი ყოფილი მარგველის — ჯაბა წიკლაურის გადაბირებაც სურთ, თუმცა ეს საკითხი საბოლოოდ ერთ კვირაში თუ გადაწყდება.

სხვა მხრივ ზესტაფონელთა ბანაკში სიწყნარეა, გუნდი მეორე წრისთვის იქვე ემზადება და არსად წასვლას არ აპირებს. ჯგუფში პირველი ადგილის მფლობელის ვინაობა კი მეორე წრის 21-ე ტურში, 30 აპრილს, გაირკვევა, როცა ერთმანეთს „სულორი" და „მარგვეთი" დაუპირისპირდებიან.

**მამუკა ქვანტალიანი**

# ჩამოდი, მამი, ჩამოდი!

ყველაზე „გაღმა მყოფი" ქართველი ფეხბურთელი დავით მუჯირი ამჟამად თავის გუნდთან ერთად მექსიკაში იმყოფება შეკრებაზე. რა და როგორ იქნება, ეს ბორა მილუტინოვიჩის გადასაწყვეტია, ჯერჯერობით კი, როგორც მუჯირების ოჯახიდან გვაცნობეს, ბევრიც არაფერია გარკვეული და მხოლოდ ნიუ იორკის „ნიუ ჯერსი მეტრო სტარზის" მექსიკური ვიოაჟის შემდეგ გადაწყდება მუმუს საბოლოო ბედ-იღბალი.

ისე დავით მუჯირი-უმცროსი ხშირად რეკავს შინ და როგორც ოჯახის წევრებმა გვითხრეს, ორიოდ დღეში „ნიუ ჯერსი მეტრო სტარზთან" მისი საბოლოო კონტრაქტის საკითხიც გადაწყდება. ამასთან დაკავშირებით ოკეანის გაღმა დავით მუჯირი-უფროსიც აპირებს გამგზავრებას და ამერიკულ კლუბთან შვილის ურთიერთობის გარკვევას თავადაც მიადევნებს თვალყურს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# გამარჯობა, მწუხარებავ!

ეს წმინდად ფრანგული სათაური ერთი წმინდად ქართული საფეხბურთო პრობლემის თავსართად დამჭირდა. ქართული ფეხბურთის დამოუკიდებელი არსებობის ათი წლის მანძილზე უკან-უკან წავიდა ჩვენი ფეხბურთის საქმე და იმ დონემდეც მივედით, საქართველო აღარ ითვლება საფეხბურთო ერთეულად, აღარ წარმოადგენს მოწინავე საფეხბურთო ქვეყანას, ამ ცნების საუკეთესო მნიშვნელობით, და დღესდღეობით ტრადიციებისა და ისტორიის გარდა ბევრს არაფერსაც წარმოადგენს.

ფეხბურთის სამყარო ორ ძირითად ნაწილად იყოფა — საკლუბოდ და სანაკრებოდ. ზოგი ქვეყანა საკლუბო სარბიელზე აღწევს ძირითად წარმატებებს და სანაკრებო დონეზე ჯილდოები ვერ მიუთვლია, სხვები, პირიქით, გუნდებით და ჩემპიონატებით ვერ დაიკვეხნიან, მაგრამ სანაკრებო დონეზე წყვეტენ ვარსკვლავებს. ქართული პირობებიდან და სიტუაციიდან გამომდინარე, ქართული კლუბები არა და ეროვნული ნაკრები კი უნდა ჰგავდეს რაიმეს, მაგრამ აგერ ჰა, რამდენიმე წელიწადია, ნაკრებიც სუფთაზეა და საერთოდ ისე მიდის საქმე, სულ მცირე, ერთი საფეხბურთო თაობა ღირსშესანიშნავი არაფერი ელირსება ჩვენს ფეხბურთს.



რამე უნდა ვიღონოთ, ჩემპიონატის ლიდერთა მატჩისას ეროვნული სტადიონი ასე ცარიელი რომ არ იყოს

როდესაც ეროვნული ჩემპიონატი პირველ ნაბიჯებს დგამდა, ყველა ფიქრობდა, რომ ქართული საკლუბო ფეხბურთი თბილისის „დინამოს" სიმაღლემდე უნდა ასულიყო, მაგრამ ისე მოხდა, თვითონ თბილისის „დინამო" ჩამოქვეითდა მეტად და მეტად საშუალო ქართული გუნდების დონემდე. ჩამოქვეითდა და თანაც როგორ. ეს ყველაფერი კი ათი წლის განმავლობაში მოხდა.

### ათი წელიწადი

ათი წელია, თავის ქართულ წვენში იხარშება ქართული ფეხბურთი. არავითარი წინსვლა, მიზერული შედეგი — მსოფლიომ იცის, რომ არსებობს რიგითი საფეხბურთო ქვეყანა — საქართველო, ადგილიც მიუჩენია მისთვის „მესამე კალათაში" და ეს არის და ეს. ვისაც უნდა და ვისაც არ ეზარება, ყველა უგებს ქართულ კლუბებს (ნაკრებსაც?) აი, ამას მივაღწიეთ უკვე ნახსენები ათი წლის მანძილზე.

ერთი სიტყვით, უკუსვლა აშკარაა.

თავიდანვე ისე მოხდა, ქართულმა ფეხბურთმა თავი დაიარხეინა. „ქართველებმა ვიცით, გენებში გვაქვს ფეხბურთი" — ეს პოპულარული ფრაზა კარგა ხანია ისმის ჩვენში და ამ ათი წლის განმავლობაშიც ყველაზე ხშირად გაიგონებდით. ვინც და რამდენიც არ უნდა წასულიყო საზღვარგარეთ სათამაშოდ, პასუხად მუდამ ერთი გვქონდა — წავიდა და წავიდეს, ქართველები არა ვართ? ნიჭი გვაქვს, უკეთესები მოვლენ — მიდიოდნენ კი, მაგრამ არც მთლად უკეთესები, არც მთლად ბევრი და ბოლოს ისე მოხდა, ვისაც კი ბურთის გორება შეეძლო და ფეხბურთელობის პრეტენზია ჰქონდა, ყველამ უცხოეთში ამოყო თავი.

ვერ გაუძლო ქართულმა ფეხბურთმა მოთამაშეთა მასობრივ გადინებას. არც ისე ამოუწურავი ყოფილა ტალანტები ჩვენში. ტალანტებს ვიღა დაეძებს, ლამისაა, „კონა-შაურად" იყიდებიან ქართველი ფეხბურთელები საფეხბურთო ბაზარზე. და მერე როგორ გუნდებში იყიდებიან?!

ღირსეულ გუნდებში ხუთიოდე კაცი თუ ირჯება, იმათაც ზოგს ალთას მიუდის საქმე, ზოგს ბალთას. სტაბილურად და კარგად გამრჯე ქართველი თითქმის არა გვყავს და ეს ეროვნული ნაკრების შედეგსაც ეტყობა.

ამიტომ თუ თქვა ერთგან ვლადიმერ გუცაევმა — ოთხასზე მეტ ქართველ ლეგიონერს ის მიჯობს, ოთხიოდე უცხოელი მობურთალი თამაშობდეს ქართულ კლუბებშიო. არის ამ სიტყვებში სიმართლე. რახან ეროვნული ჩემპიონატის დაბალი დონიდან გამომდინარე ქართულ ფეხბურთს სხვებისთვის პირობების კარნახი არ შეუძლია, ისევ უცხოელებმა უნდა გვიკარნახონ თანამედროვე ფეხბურთის წესები და ამისთვის უებარი საშუალება ევროპაში ბითუმად მოხეტიალე ბრაზილიელების და აფრიკელების ჩვენში მოწვევა მგონია. სხვა თუ არაფერი — გამრავალფეროვნდება მაინც ეროვნული ჩემპიონატი, ინტერესი მიეცემა და ესეც საქმეა, განა არა?!

### იმუნიტეტი

ვლადიმერ ბარქაიამ თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში — თამაშები წაგვიგია, ბევრიც, მაგრამ არასდროს გვქონია პროფესიული იმუნიტეტი მარცხის მიმართ, ვერასდროს ვეჩვეოდითო დამარცხებას.

ეს მაშინ, ახლა კი სრულიად სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე — ქართველ ფეხბურთელებს ისეთი იმუნიტეტი გამოემუშავდათ, თქვენი მოწონებული. სულ ერთია, სად ითამაშებენ ისინი — შინ, გარეთ, დარში, ავდარში, სუსტთან, ძლიერთან — წააგებენ და ისე ღიმილიანი და კმაყოფილნი გავლენ მინდვრიდან, თითქოს ეს-ესაა შეიხის ჰარამხანა მიმოარბიესო.

ის კი არა, კატასტროფული ანგარიშებით წაგების შემდეგაც ჰყოფნით სითამამე ქართველ ფეხბურთელებს თვალები თამამად გაუსწრონ ქომაგს — აქაოდა, რას გვერჩით, რა დავაშავეთ, ყველაფერი ქართული ფეხბურთის დონის ბრალიაო. ის კი ავიწყდებათ, რომ ქართული ფეხბურთის დღევანდელ დონეს თვითონვე განსაზღვრავენ.

სამწუხაროა ისიც, რომ ერთნაირად ვპოულობთ ხოლმე „ატლეტიკთან" მარცხისას და —ცრვენა ზვეზდასთან", ანაც „ვლაჟნიასთან" განადგურების გამართლებასაც. უკიდურეს შემთხვევაში, ერთი-ორი კრიტიკული წერილი დაიბეჭდება, მერე კი ყველაფერი მიჩუმათდება და ძველებურად გრძელდება ქართული ფეხბურთის დაღმასვლა.

ამაში თავისებური წვლილი თბილისის „დინამოსაც" მიუძღვის. როცა ამას ვამბობთ, კარგად ვიცით, ცხენიც შეკაზმული უნდა გვყავდეს, მაგრამ სათქმელი სათქმელია — „დინამოს" მარადმა ჰეგემონიამ ფსიქიკა დაუმახინჯა ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ქართულ კლუბებს. თავიდანვე ისე ხდებოდა, რომ უცვლელი ჩემპიონი უპრობლემოდ უგებდა ყველას, მიაჩვია მეტოქეები, წინასწარ ჩაექნიათ ხელი მის წინააღმდეგ თამაშისას და ამგვარად გაჩნდა ქართულ ფეხბურთში ახალი ცნება — „დინამოს" სინდრომი.

ჩეხოვისეული „მკვდარი სულებითაც" რომ იყოს დაკომპლექტებული თბილისის „დინამო", იგი მაინც ჩემპიონი გახდება, ვერცერთი ქართული გუნდი ვერ შეძლებს მარადი ჩემპიონის დამარცხებას და ამას ხელს წარსულთან ერთად აწმყოც უწყობს — „დინამო" მაინც „დინამოა" — ახლაც ისე ვამბობთ, როგორც ათი წლის წინ და როგორ გგონიათ, ნორმალური ამბავია?!

იმ ჩემპიონატზე რა ითქმის, ზედიზედ ათი წელი ერთი და იგივე გუნდი რომ უდგას სათავეში სეზონის დასაწყისშიც, შუაშიც და ბოლოშიც.

და ერთის უთქმელობაც არ შეიძლება — თავიდან კიდევ ჰო, თბილისის „დინამო" ჩემპიონობას თავისსავე სკოლაში გამოზრდილი ფეხბურთელებით ჭედავდა და ვინ იყო რამის მთქმელი, ახლა კი, დაატყობს რა უჭირს, უმალ სხვა ქართული კლუბების ლიდერ-ფეხბურთელებს გაადინამოელებს და ასე ინარჩუნებს ჩემპიონობას. კარგა ხანია, ასე ხდება. ვინც საჭიროა, „დინამოს" ძირითადში თამაშობს, ვინც არა — სკამს ხეხავს, ან განათხოვრებულია. გეგმა კი სრულდება, მაგრამ ხარისხი?

ამ ქვეთავს თვითონ „დინამოს" მწვრთნელის მურთაზ ხურცილავას სიტყვებს მივუსადაგებ — „დინამო" თავისას ცდილობს, სცადონ სხვებმაც, ბატონო, მოიგონ თასი, ჩემპიონობა. ვერ გამიგია, რატომ მიაჩნიათ, რომ მაინცდამაინც „დინამო" უნდა იყოს ჩემპიონიო.

ისე „დინამო" მართლა თავისას ცდილობს და სწორადაც. მე სხვა ქართული კლუბების ვერ გამიგია. კარგა მაგრად წაიბედოვლათებენ და იმიტომ — ერთი-ორი ნორმალური მოთამაშე-ლა ჰყავთ გუნდში და იმასაც უშუალო მეტოქეს უთმობენ. თუკი ფეხბურთს თამაშობ და გუნდი გქვია, ერთი მოთამაშე როგორ ვერ უნდა შეინახო, მით უმეტეს, უკეთესი თუ არ გეგულება.

### გესალმები, დოლი!

ლუი არმსტრონგს აქვს ნათქვამი — მილიონჯერ მაინც მექნება ნამღერი „გესალმები, დოლი", მაგრამ როცა ვხედავ, რომ ხალხს ისევ სურს მისი მოსმენა, ძველებური განცდით და გრძნობით ვმღერიო.

ის შავი კაცი ღმერთმა აცხონოს და ნეტავ, ქართველ ფეხბურთელებსაც მისცეთ მისი განწყობა — ოციოდე ეროვნულჩემპიონატური. მატჩის შემდეგ რომ ბეზრდებათ აქაურობა და მინდორზე ჰაიჰარად იწყებენ ბურთის გორებას. მერე სადღაც ვიღაცას „შაურად კონა" ფეხბურთელების ყიდვა მოესურვება და წავიდა, ჰეეე! ამის მერე მოვდგებით და ვწუწუნებთ, ხალხი აღარ დადის სტადიონზეო. რომ მივიდეს, ვის უყუროს?

ამიტომაც დოლის არა და, მწუხარებას კი ვესალმებით ამ ათწლიანი გადასახედიდან...

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# ახალი თაობის მოლოდინში




ერიხ რიბეკი

### გერმანია 3:3 კოლუმბია

0:1 ასპრილია (26), 1:1, 2:1 პრეეტცი (33, 55), 2:2 ასპრილია (68პ), 3:2 ბოდე (74), 3:3 რამირო კორდობა (80)

გერმანული ფეხბურთი ასეთ კრიზისში დიდი ხანია, არ ყოფილა. ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ხორვატებთან 0:3 განადგურების შემდეგ შვიდი მატჩი გამართა — ორი მოიგო (მალტასთან 2:1 და მოლდოვასთან 3:1), სამი ფრედ დაასრულა (რუმინეთთან და ჰოლანდიასთან 1:1, კოლუმბიასთან 3:3) და ორი წააგო (თურქეთთან 0:1, აშშ-სთან 0:3). გერმანელებს ვერც მწვრთნელის გამოცვლამ უშველათ. ბერტი ფოგტსის ადგილი ერიხ რიბეკმა კი დაიკავა, მაგრამ გუნდის თამაშს ეს არ დასტყობია.

თებერვლის დასაწყისში რიბეკმა ნაკრები ამერიკის შეერთებულ შტატებში წაიყვანა შეკრებაზე, თან ორი ამხანაგური მატჩიც დაგეგმა მასპინძლებისა და კოლუმბიის ნაკრებებთან. 6 თებერვალს აშშ-სთან ევროპელების განადგურებას გერმანიაში მწვავე გამოხმაურება მოჰყვა.

თუმც ბევრისთვის მოულოდნელად კრიტიკის მთავარ ობიექტად რიბეკი არ ქცეულა. „სასწრაფოდ რადიკალური ცვლილებებია მოსახდენი და არამარტო ნაკრებში. უპირველეს ყოვლისა საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელობა უნდა შეიცვალოს. ჩვენ ახლა ფრანც ბეკენბაუერი გვჭირდება. მხოლოდ ის თუ შეძლებს გერმანული ფეხბურთის ღრმა კრიზისიდან გამოყვანას. ხანდახან ვფიქრობ ხოლმე — რად გვინდა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გერმანიაში ჩატარება, თუ ასე გაგრძელდა იმ დროს ჩვენი ფეხბურთი ხომ მკვდარი იქნება“ — განაცხადა წარსულში სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა, 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა პოლ ბრაიტნერმა.

აზრი თავად საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტად ახალარჩეულმა ბეკენბაუერმაც გამოთქვა: „ასეთ დღეში რომ ვართ, ამის უმთავრესი მიზეზი ძლიერი ფეხბურთელების არყოლაა. რამდენიმე წლის წინ ბრემე, ფიოლერი, კლინსმანი და სხვა უმაღლესი კლასის ოსტატები გვყავდა. გერმანული ფეხბურთი მაღალ დონეზე რომ იდგეს, მათი სრულფასოვანი შეცვლაა საჭირო. სამწუხაროდ, ახალ თაობას ვერ ვხედავ.“ ორიოდე სიტყვა რიბეკმაც თქვა: „პირველ ტაიმში არ მინდოდა, დამეჯერებინა, რომ ეს გერმანიის ნაკრები იყო, იმედია, კოლუმბიასთან მატჩის შემდეგ საპირისპირო შთაბეჭდილება მექნება.“

ამის იმედზე იყო მთელი გერმანიაც. ყველას ეგონა, აშშ-სთან განადგურების შემდეგ, რიბეკის შეგირდები კოლუმბიელებს თავბედს აწყევლინებდნენ, მაგრამ გერმანელ ქომაგებს იმედი კიდევ ერთხელ გაუცრუვდათ.

თამაში გერმანელთა შეტევებით კი დაიწყო, მაგრამ პირველი გოლი კოლუმბიელებმა გაიტანეს. პრეეტცისა და დებიუტანტი რაიხისგან განსხვავებით, ფაუსტინო ასპრილიას მიზანმა არ უმტყუნა. თუმცა გერმანელებმა მალევე აღადგინეს წონასწორობა. როსტოკის „ჰანზას“ თავდამსხმელმა მიხაელ პრეეტცმა ახლოდან კორდობას იოლად გაუტანა. პირველი ტაიმის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე ბოდესთან უხეშობისათვის მსაჯმა კოლუმბიელ ლემუსს დაატოვებინა მინდორი და სამხრეთამერიკელები ათნი დატოვა მინდორზე. მეორე ტაიმი გერმანელებმა აქტიურად დაიწყეს და 55-ე წუთზე პრეეტცმა, რომელიც ნაკრებში მეორე მატჩს ატარებდა, დუბლი შეასრულა. ცოტა ხანში ასპრილიასაც შეეძლო ამის გაკეთება, მაგრამ ლემანმა ითამაშა კარგად. 68-ე წუთზე კი გერმანელებს ლემანმაც ველარ უშველა. ასპრილიამ პენალტი ზუსტად შეასრულა. ამის შემდეგ სტადიონზე შეკრებილმა 15 ათასამდე ქომაგმა კიდევ ორი გოლი იხილა. ბოდეს გატანილს რამირო კორდობამ ზუსტი დარტყმით უპასუხა და მატჩიც 3:3 დასრულდა.

ამის შემდეგ კი რიბეკი კრიტიკას ველარ გადაურჩა. „რიბეკს ურჩევნია დროზე გადადგეს, რათა ქომაგთა რისხვას გადაურჩეს“ — განაცხადა კოლუმბიასთან მატჩის დასრულების შემდეგ „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ, რომელსაც ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდა. რიბეკს მოწინააღმდეგეებთან ერთად არც მომხრენი აკლია. ერთ-ერთი მათგანი თვით ბერტი ფოგტსი გახლავთ: „დარწმუნებული ვარ ერიხს სწორი გზით მიჰყავს გუნდი. მას ფეხბურთელთა შერჩევისა და ნაკრების დაკომპლექტების საშუალება უნდა მივცეთ. კრიტიკას სჯობს, გვერდში დავუდგეთ. ეს უპირველეს ყოვლისა ისევ ეროვნულ გუნდს წაადგება.“ თავად რიბეკი უხასიათოდ გახლდათ, მაგრამ ჟურნალისტებისთვის მაინც მოიცალა: „ნაკრებში ახლა თაობათა ცვლა მიმდინარეობს. ეს კი ყოველთვის გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული. ამ თამაშებმა გუნდის ნაკლი დამანახა. უკვე ვიცი, რაზე გვმართებს მუშაობა. მწამს, ხარვეზებს მალე გამოვასწორებთ და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს საუკეთესო ფორმაში შევხვდებით.“

შეძლებს თუ არა რიბეკი პრობლემების წარმატებით გადაჭრას, ამას მარტის ბოლოს დავინახავთ, როცა გერმანიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ჯერ ჩრდილოეთ ირლანდიას ეწვევა, შემდეგ კი ფინეთს მიიღებს.

**ვანო ოქროპირიძე**

## EURO 2000

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

### VIII ჯგუფი

**მალტა 1:5 იუგოსლავია**

1:0 ა. ზარა (4), 1:1, 1:2 გ. დრულიჩი (21, 40), 1:3 ნ. ძოდიჩი (52), 1:4 მ. პანტელიჩი (57), 1:5 გ. დრულიჩი (63)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 3 | 2 | 1 | 0 | 9:2 | 7 |
| ირლანდია | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| იუგოსლავია | 2 | 1 | 1 | 0 | 6:2 | 4 |
| მალტა | 5 | 1 | 0 | 4 | 7:12 | 3 |
| მაკედონია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:9 | 3 |

*შემდეგი თამაში: 26 მარტი — იუგოსლავია — ხორვატია; მაკედონია — ირლანდია*

## ამხანაგური მატჩები

### ბელგია 0:1 ჩეხეთი

0:1 კოლერი (73)

ბელგია: დე ვლიგერი, დე ბრული (კიმონი 57), ვიდოვიჩი, დე ბეკი, გოორი, დელბროეკი, სტალენსი, ჟენო (ტანჟე 77), ემპენზა (დე ბილდე 46), ვალემი, პიერი

ჩეხეთი: სრნიჩეკი, რადა, სუხოპარეკი, ჰაშეკი, ხორვატი, ბორნაკი (ვონაშეკი 71), ნემეცი (ნოვოტნი 71), პობორსკი (ვლაჩეკი 71), კოლერი, შმიცერი (გალაშეკი 84), ბარანეკი (ვაგნერი 90)

როდესაც ადამიანის სიმაღლე ორი მეტრი და ორი სანტიმეტრია, მას კალათბურთის თამაშს ურჩევენ, მაგრამ ხანდახან ისეც ხდება, რომ ტანმაღალი კაცი სპორტის ზემოხსენებულ სახეობას კი არა, ფეხბურთს ირჩევს. უმეტეს შემთხვევაში ასეთი მოთამაშეები ფეხბურთში ბევრს ვერაფერს აღწევენ. თუმცა, როგორც ყველაფერში, გამონაკლისი აქაც არსებობს.

იან კოლერი, ჩეხეთის ნაკრების დებიუტანტი და ბელგიის ნაკრების კარში გასული ერთადერთი გოლის ავტორი, ორი მეტრი და ორი სანტიმეტრია, ეს კი მას სულაც არ უშლის ხელს, ძლიერი ფეხბურთელი იყოს. კოლერი, რომელიც ჩეხთა მწვრთნელმა იოზეფ შოვანეცმა ქვეყნის პირველ გუნდში პირველად მიიწვია, ბელგიის „ლოკერენში“ თამაშობს და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიცაა.

— ნაკრებში პირველად თამაშისას გოლს რომ გაიტან, ძალიან საამაყოა, მეც მიხარია. არ მეგონა, ასეთი წარმატებული დებიუტი თუ მექნებოდა — განუცხადა ფეხბურთელმა ჟურნალისტებს.

მიუხედავად ასეთი სიმაღლისა, კოლერს დე ვლიგერის კარი თავური დარტყმით სულაც არ დაულაშქრავს — 73-ე წუთზე მცველმა რეჟის ჟენომ უყურადღებოდ ითამაშა, იანმა კი მოწინააღმდეგეს შეცდომა არ აპატია.

ჩეხებმა იმარჯვეს. ევროპის ბოლო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორთათვის ეს ბოლო 11 შეხვედრაში მეცხრე მოგებული მატჩი იყო, ბელგიელებმა კი ზედიზედ მეორედ წააგეს.

— გუნდური თამაში გვიჭირს. რგოლებს შორის კავშირი მოშლილია, ეს კი ძალიან სამწუხაროა. ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე მობილიზება უნდა მოვასწროთ, თორემ შემდეგ გვიან იქნება — განაცხადა ნაკრების ვეტერანმა ლორენცო სტალენსმა. სხვათა შორის, მას 45-ე წუთზე ჩეხთა მეკარესთან უხეშობისთვის გოლი არ ჩაუთვალეს.

მომდევნო მატჩებს გუნდები მარტში გამართავენ. ჩეხები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ლიტველებს უმასპინძლებენ, ხოლო ბელგიელები კი ბულგარეთს ამხანაგურად ეთამაშებიან.

### ისრაელი 2:1 ბელარუსი

1:0 ნიმნი (20), 1:1 ბარანოვი (28), 2:1 ნიმნი (51)

— მან ერთი თერთმეტმეტრიანი ნორვეგიასთან შეხვედრისას ვერ გაიტანა, ახლა მეორედაც ვერ ივარგა. მომავალ შეხვედრებში პენალტი შესაძლოა სხვა მოთამაშემ დაარტყას — განაცხადა ისრაელის ნაკრების მწვრთნელმა შლომო შარფმა.

ეს ისრაელის ნაკრების თავდამსხმელი ავი ნიმნიზე ითქვა, რომელსაც მე-60 წუთზე პენალტიც რომ გაეტანა, ეგებ ჰეთ-თრიქიც შეესრულებინა. მან ეს ვერ მოახერხა.

## ფეხბურთის რუკასთან



**ზიმბაბვეს** ფეხბურთის ფედერაცია აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციაში აპელაციის შეტანას აპირებს. საქმე ისაა, რომ შავი კონტინენტის ფეხბურთის მამებმა ზიმბაბვეს აფრიკის თასის 2000 წლის გათამაშების მასპინძლობის უფლება ჩამოართვეს, არადა, თავის დროზე სწორედ ზიმბაბვეს არგუნეს ეს პატივი. „ჩვენ უკან არ დავიხევთ და ყველანაირად ვეცდებით აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციას გადაწყვეტილება შევაცვლევინოთ“ — განაცხადა ზიმბაბვეს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლეოო მუგაბემ. სხვათა შორის, იგი ზიმბაბვეს პრეზიდენტის ბიძაშვილია. ამასობაში აფრიკის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ იმ ქვეყნებმა, რომლებსაც მომავალი წლის კონტინენტის თასის გათამაშების მიღება სურთ, 10 მარტამდე კონფედერაციაში ოფიციალური განაცხადი უნდა შეიტანონ. აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის გენერალურ მდივან მუსტაფა ჰაფის თქმით, ჯერ არ მომხდარა, რომ მათ ორგანიზაციის მიღებული გადაწყვეტილება შეეცვალოთ. ასეთი რამ არც მომავალში მოხდება. აფრიკის თასის გათამაშების მასპინძლობის უპირველეს კანდიდატად მაროკოს მიიჩნევენ, ოფიციალურად კი ტურნირის მასპინძელი კონფედერაციის მორიგ სხდომაზე, 14 მარტს, გვინეის დედაქალაქ კონაკრში დასახელდება.

**რუმინეთის პროფესიონალ ფეხბურთელთა ლიგის წარმომადგენელმა მირჩა ცეზარ იონესკუმ განაცხადა, რომ ქვეყნის ნაკრების ბოლო წლების ერთ-ერთი ლიდერი ილიე დუმიტრესკუ ფეხბურთს შეეშვა. რუმინეთის ნაკრების ვეტერანმა თხოვნით მიმართა თავის კლუბის, ბუქარესტის „სტიაუას“ პრეზიდენტს, რომ მისი კონტრაქტი შეეჩერებინათ. ილიე დუმიტრესკუმ კარიერის მანძილზე ქვეყნის პირველ გუნდში 62 მატჩი ითამაშა, და 20 გოლი გაიტანა. მან ნაკრების მაისური პირველად 1990 წელს, იტალიაში, საბჭოთა კავშირთან მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირის მატჩში მოიგო. დუმიტრესკუს, რომელიც მომავალ თვეს 30 წლისა გახდება, „სტიაუას“ გარდა ინგლისის პრემიერლიგის კლუბ „ტოტენჰემ ჰოთსპურში“, შემდეგ „ვესტ ჰემში“, ესპანურ „სევილიასა“ და მექსიკურ „ატლანტაში“ ითამაშა.**

**მექსიკის** შინაგან საქმეთა მინისტრმა ხესუს რეინა გარსიამ ნაკრებს ახალი ფორმებით თამაში აუკრძალა. მან ამის მიზეზები ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას აცნობა და გადაწყვეტილება მათთან ერთად მიიღო. ახალი ფორმის ნაკლი შინაგან საქმეთა მინისტრის აზრით ისაა, რომ მაისური ქვეყნის ღერბითაა გაფორმებული. ეს კი დაშვებულია. ახალი სამოსელი მექსიკელებს არგენტინელებთან შეხვედრაში უნდა მოერგოთ, მაგრამ ძალოვანი სტრუქტურების ჩარევით ეს აღარ მოხდება. ქვეყნის ნაკრები ისევ ძველი ფორმით ითამაშებს.

**იუგოსლავიის ნაკრების ფეხბურთელი ხრისტო ვიდაკოვიჩი, რომელიც აგერ უკვე წელიწადია მუხლის ტრავმას მკურნალობს, უახლოეს მომავალში ვარჯიშს შეუდგება. ბოსნიაში დაბადებულმა მოთამაშემ გასულ მარტს ესპანეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი შეხვედრისას მუხლის უმძიმესი ტრავმა მიიღო, რის გამოც მან ქვეყნის ღირსება ვერც მსოფლიოს ჩემპიონატზე დაიცვა. ვიდაკოვიჩი სევილიის „ბეტისში“ თამაშობს. „თითქმის წელიწადი გამოვტოვე. ვეცდები, დაკარგული დავიბრუნო, თუმცა ისიც ძალიან კარგად ვიცი, რომ ამის გაკეთება გამიჭირდება — განაცხადა ვიდაკოვიჩმა.**

**სამხრეთ აფრიკის** დასაქმების სამინისტრომ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი კლუბის „მამელოდი სანდაუნის“ რუმინელ მწვრთნელ ტედ დუმიტრუს შეუთვალა, სამ კვირაში სამხრეთ აფრიკა დატოვე, თორემ სამართალში მიეცემიო. დუმიტრუ რუმინეთში კია დაბადებული, მაგრამ ამერიკის მოქალაქეა, თან სამხრეთაფრიკულ კლუბში ბოლო 14 წელიწადი დოკუმენტების გარეშე მუშაობდა. „მამელოდი სანდაუნის“ წარმომადგენლებმა პრესას განუცხადეს, ჩვენ დუმიტრუს დახმარება გავუწიეთ, შევეცდებით, პრობლემები მოვაგვაროთო.

**ესპანელი ფეხბურთელი, „სელტას“ მცველი მიჩელ სალგადო ორ სუპერკლუბს, „იუვენტუსსა“ და მადრიდის „რეალს“ მონდომებია. ქვეყნის რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში სალგადომ განაცხადა: „ჩემთან, კლუბში კარგად იციან, რომ როგორც „რეალმა“ ასევე „იუვენტუსმა“ მათთან გადასვლა შემომთავაზა, მაგრამ ჯერ „სელტასთან“ კონტრაქტი არ გამსვლია და შესაბამისად სხვა არავინ მაინტერესებს“. აღსანიშნავია, რომ „სელტამ“ ზაფხულამდე ფეხბურთელებით ყოველგვარი ვაჭრობა აკრძალა. „ამ საკითხის გამო ივნისამდე არავისთან არაფერზე მოვილაპარაკებთ. გარდა ამისა, თუ ვინმეს მიჩელის ყიდვა სურს, უნდა იცოდეს, რომ 13,7 მილიონ დოლარზე ნაკლებ ეგ საქმე არ იქნება“ — განაცხადა კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ფრანსისკო ერნანდესმა. 23 წლის სალგადო ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლებოდა და გასული წლის სექტემბერში ეროვნულ გუნდში ათამაშეს კიდეც. და მაინც, მისი პოპულარობა ერთგვარად სკანდალური გახლავთ, რამეთუ სწორედ მან დაამავა შარშან თებერვალში ჟუნინიო, რის გამოც ბრაზილიელმა მსოფლიოს ჩემპიონატში ვერ მიიღო მონაწილეობა.**

**დანიელმა** თავდამსხმელმა ბო ჰანსენმა ამ კვირაში თანხმობა განუცხადა ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბს „ბოლტონს“ „ბრონდბიუდან“ მათთან გადასვლაზე. გარიგების თანხა 1,6 მილიონი დოლარია. 26 წლის ჰანსენი დანიის ჩემპიონატის ბომბარდირთა შორის 12 გოლით პირველ ადგილზეა. „ბოლტონის“ მწვრთნელს, კოლინ ტოდს, დიდი ხანია მასზე თვალი აქვს დადგმული და პრემიერლიგის „ლესტერ სიტიში“ წასული ისლანდიელის, არნარ გუნლაუგსონის შემცვლელად ეგულება. როგორც კი ჰანსენი სამედიცინო შემოწმებას გაივლის და ინგლისურ კლუბში ჩაირიცხება, ბოლტონელთა დანიური ტრიო კვარტეტად იქცევა. გუნდში უკვე თამაშობენ პერ ფრანდსენი, მიქაელ იოჰანსენი და კლაუს იენსენი.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

გაბრიელ ბატისტუტა. მასზე საუბარი აქვე შეგვიძლია მოვამთავროთ ამ კაცს, ჯერ კიდევ ახალგაზრდას ხომ სიცოცხლეშივე დაუდგეს ძეგლი. მაგრამ ძალიან ძნელია მასზე მხოლოდ რამდენიმე სიტყვა თქვა, თუნდაც ასეთი მრავლისმომცველი. ჰოდა, მოდით, ერთი კარგად შევაქოთ, ის ამას ნამდვილად იმსახურებს, მით უმეტეს, რომ ბატისტუტას დღესდღეობით ცხოვრების უმძიმესი წუთები უდგას იგი თავის გუნდს, დიდი ხნის ასე ნანატრ ოცნებასთან ახლოს მყოფ „ფიორენტინას" ყველაზე საჭირო დროს გამოაკლდა, მძიმე ტრავმა მიიღო პირველი კარიერაში.

პირველ რიგში ეს ვთქვათ ბატისტუტა უერთგულესი კაცია. აგერ უკვე რვა წელია, „ფიორენტინას" იასამნისფერი მაისურით თამაშობს და ამ 8 წლიდან ერთი მან სერია B-ში გაატარა. როგორია, მსოფლიო დონის ვარსკვლავი მეორე ლიგაში! მაგრამ ბატისტუტამ მაინც გაუძლო, იომა და ფლორენციელები უძლიერესთა შორის დააბრუნა.

მერედა როგორია იგი მინდორზე. რამდენიმე წელია, გაბრიელი პირველია არგენტინელთა შორის ნაკრებში გატანილი გოლების რაოდენობით. „ფიორენტინაში" 126-ჯერ (მხოლოდ სერია A-ში) მიულოციათ მისთვის თანაგუნდელებს მეტოქის კარის დალაშქვრა. მინდორზე გაჩერებულს ვერ ნახავთ, სულ მოძრაობს ხან თავს იცავს, ხან „ბურთი ამოაქვს", ხანაც „პადკატს" აკეთებს. ყველაზე კარგად კი თავს მეტოქის საჯარიმოში გრძნობს, იქ არის მისი სამფლობელო, იქ მისთვის საიდუმლო, პრობლემა არ არსებობს. მხოლოდ პასი უნდა მისცე, თუგინდ ცუდი, თუგინდ თავზე და თუგინდ ზურგსუკან. ათიდან ცხრა შემთხვევაში გოლს გაიტანს, ტყუილად ხომ არ შეარქვეს „ბატიგოლი"...

1 თებერვალს ბატისტუტა 30 წლის გახდა. 7-ში დაშავდა. ინტერვიუ, რომელსაც ახლა გთავაზობთ, მან ტრავმის მიღებამდე ცოტა ხნით ადრე მისცა ჟურნალ „უორლდ სოკერს".

# ოღონდ პასი მიეცი...



სარბიელის არქივიდან

მორიგი გოლი, მორიგი სიხარული

**— „ფიორენტინას" თავკაცი ჯოვანი ტრაპატონი ირწმუნება, რომ თქვენ კლუბში 2003 წლამდე დარჩებით. ბედნიერი იქნებით ფლორენციაში დარჩენით და მისი ხელმძღვანელობით მუშაობით?**

— ნამდვილად. ტრაპატონის ფლორენციაში ჩამოსვლამ ჩემს მომავალზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. ის ფანტასტიური კაცია, მუდამ გამარჯვებული. როდესაც ჯოვანი მორიგ მატჩზე გესაუბრება, თავის იდეებს გაცნობს, ადვილად ხვდები, რა უნდა. მისთვის აზრის გადმოცემის პრობლემა არ არსებობს, იმიტომ, რომ უდიდესი სპეციალისტია. ტრაპატონის, როგორც ადამიანს და როგორც მწვრთნელს, ძალიან დიდ პატივს ვცემ და ეს ყველამ კარგად უწყის.

**— და თქვენ არა ხართ ყოველთვის გამარჯვებული?**

— არ არსებობს წამი, მოგება არ მინდოდეს. მაშინაც კი, როდესაც ჩემს მეუღლეს ბანქოს ვეთამაშები.

**— ამჟამად ბევრს საუბრობენ ბატისტუტა-ედმუნდოს წყვილზე. როგორ ფიქრობთ, რაში მდგომარეობს თქვენი ასეთი წარმატებული თამაშის საიდუმლო?**

— არანაირი საიდუმლო. არც მე, არც ედმუნდო ფეხბურთში გუშინ არ მოვსულვართ და ამ თამაშის ყველა წვრილმანი სისხლში გვაქვს გამჯდარი. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ — ვფიქრობ, ისეთი ძლიერი შეტევა, როგორიც „ფიორენტინას" ჰყავს, სერია A-ში, და, ალბათ, არსად არ არის. ამიტომაც გული მწყდება, როდესაც პრესაში სათანადოდ არ გვაფასებენ, პირიქით, გვაკრიტიკებენ კიდეც. თუმცა ეს ჟურნალისტების საქმეა, ფაქტი კი ფაქტად რჩება — დღესდღეობით ვერავინ თამაშობს ისე, როგორც ჩვენ.

**— თქვენ ბრაზობთ, რომ სათანადოდ არ გაღიარებენ?**

— არა, პირიქით. ჟურნალისტთა უსამართლობა დამატებით სტიმულს გვაძლევს და მოედანზე გაორმაგებული ენერგიით გავდივართ, რათა ყველას დავუმტკიცოთ ჩვენი ძალა. საგაზეთო წერილებს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევ, მაგრამ ხანდახან მაინც მეშლება ნერვები. თუნდაც „სალერნიტანასთან" მატჩი ავიღოთ. იმ შეხვედრაში, ვფიქრობ, ჩემი კარიერის ერთ-ერთი ულამაზესი გოლი გავიტანე — ფლორენციაში ყველა აღფრთოვანებული იყო, მის გარეთ კი სიტყვაც არავის დასცდენია. ეტყობა, იტალიაში იბოღმებიან, ჩვენი ლიდერობა არ მოსწონთ.

**— მოდით, „ფიორენტინაზე" ვისაუბროთ, როგორი გუნდია იგი?**

— „ფიორენტინა" მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია, რადგან კარგად თამაშობს და სერია A-ს ლიდერობს. ჩვენ ვისწავლეთ, როგორ უნდა გჯეროდეს საკუთარი თავის, შესაძლებლობების, პოტენციალის და, რაც მთავარია, გამარჯვების. ცხრილის სათავეში მოქცევა ძნელი არ იყო, მაგრამ იქ ადგილის შენარჩუნება ნამდვილი კოშმარია. ამისთვის ბევრი ოფლისღვრაა საჭირო. თუმცა არა, ამაზე ნაღდად არ ვღელავ, ტრაპატონიმ ყველა დანარჩენ მწვრთნელზე უკეთ იცის სკუდეტოსკენ მიმავალი გზები. ამაში დარწმუნებული ვარ და ამიტომაც სეზონის დასაწყისიდან დღემდე ეჭვიც არ შემპარვია, რომ „ფიორენტინა" პირველი იქნება.

**— როგორ აღწერდით ფეხბურთელ გაბრიელ ბატისტუტას?**

— ადამიანი, ვინც ყოველთვის იბრძვის, ყოველთვის ცდილობს გოლი გაიტანოს და რომელიც არასდროს დაკმაყოფილდება მიღწეულით. მე არასდროს ვკარგავ დროს წარსულზე, ადრე გატანილ გოლებსა და დამყარებულ რეკორდებზე ფიქრში. ჩემთვის მთავარი ხვალინდელი დღეა, შემდეგი გოლი, შემდეგი რეკორდი. მე ყოველთვის ვცდილობ, რაიმე ახალი შევქმნა.

**— თქვენ სერია A-ს საუკეთესო უცხოელი მეგოლე ხართ. 1994-95 წლების სეზონში პირველ 11 მატჩში გამოიჩინეთ თავი, რაც ჯერ არავის მოუხერხებია. ცდილობთ ამ მიღწევების გაუმჯობესებას?**

— რეკორდები უპირველესად ოპონენტების დასადუმებლად მჭირდება.

**— როგორ გგონიათ, შეგიძლიათ უკეთესად თამაში?**

— რა თქმა უნდა. ამაზე მუდმივად ვმუშაობ. მაგალითად, მარცხენა ფეხით დარტყმა უნდა გავაუმჯობესო. ბევრი ფორვარდი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს, ეგოისტია. მე კი სულ იმას ვცდილობ, უკეთეს პოზიციაში მყოფი თანაგუნდელი არ დავალალატო. ასეა „ფიორენტინაში" და არგენტინის ნაკრებშიც, სულ ერთია, ეს ვინ იქნება, ოლივეირა თუ ტოლდო.

**— როგორ ფიქრობთ, მიმდინარე ჩემპიონატი არაჩვეულებრივი, განსხვავებულია?**

— რატომ, „იუვენტუსი" რომ არ ლიდერობს? შეხედეთ, როგორ თამაშობენ „პარმა", „რომა", „ფიორენტინა" და მსგავსი კითხვა აღარ დაგებადებათ.

**— „ფიორენტინას" უეფას თასიდან დისკვალიფიკაციაზე რას იტყვით?**

— ეს დაახლოებით იგივეა, ციხეში უდანაშაულო კაცი რომ ჩასვა.

**— თქვენ დიდხანს იკვლევდით თქვენი ოჯახის ისტორიას, მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით. არის ამ მხრივ რაიმე პროგრესი?**

— ყველაფერი კარგად მიდის. აღმოვაჩინე დომენიკო ბატისტუტა, არგენტინაში დომინგო ბატისტუტად წოდებული, რომელიც არგენტინაში მეუღლე მარია ზორზონთან ერთად იტალიიდან გემით ჩავიდა, მაგრამ მთელი საბუთები თურმე სხვა ხომალდზე ყოფილა, ის კი ჩაიძირა, კატასტროფაში მოჰყვა. არგენტინაში მათ შეეძინათ შვილი, ფრანსისკო, ჩემი ბაბუა. თავის მხრივ, მას კიდევ ორი ვაჟი ჰყავდა — მალჩიორი და ოსმარი, ანუ მამაჩემი. ვიმედოვნებ, უმოკლეს ხანებში ყველა დოკუმენტს მოვუყრი თავს.

**— თუ გხიბლავთ პერსპექტივა, რომ ერთ დღეს იტალიის მოქალაქე გახდებით?**

— ამ ქვეყანაში რვა წელი ვიცხოვრე და თავს უკვე იტალიელად ვგრძნობ.

**— ამბობენ, რომ თქვენი შვილი ტიაგო ფეხბურთელობაზე ოცნებობს.**

— იგი ჯერ ექვსი წლისაა და მის მომავალზე საუბარი ნაადრევია. ისე, ვატყობ, რომ ბურთთან ურთიერთობის ნიჭი ნამდვილად აქვს.

**— თქვენი აზრით, ითამაშებთ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე?**

— მე ამის მჯერა. ძალიან გამიხარდა, როდესაც ბიელსამ პასარელა შეცვალა. იგი ხომ ჩემი პირველი მწვრთნელი იყო მაშინ, როცა არგენტინაში დავიწყე თამაში.

**— ცოტა წარსულზეც ვისაუბროთ. მოდით, საფრანგეთი 98 გავიხსენოთ.**

— ჩვენი წარუმატებლობის მთავარი მიზეზი მოსამზადებელი დროის ნაკლებობა გახლდათ. არგენტინელთა უმეტესობა საზღვარგარეთ, სხვადასხვა კლუბში გამოდის და მათ შორის ურთიერთგაგების დასამყარებლად ცოტა მეტი დრო იყო საჭირო. ასე რომ ყოფილიყო, ნაკრების წევრებს უკეთ რომ გაგვეცნო ერთმანეთი მოედანზე და მის გარეთაც, მერწმუნეთ, ყველაფერი სხვაგვარად მოხდებოდა.

**— მართალია, რომ ფორმულა 1-ის გერმანელი პილოტი მიხაელ შუმახერი მანქანის უკეთ მართვაში გეხმარებათ და გაკვეთილებს გიტარებთ?**

— დიახ, ეს ფეხბურთისგან დასვენების შესანიშნავი საშუალებაა.

**— ზოგიერთები ამბობენ, „ბატიგოლს" ფეხბურთის თამაში მობეზრდაო. ამაზე რას იტყვით?**

— იცით, ყველაზე ძალიან ფეხბურთში გაუთვითცნობიერებელი ხალხის აქტიურობა მაღიზიანებს. ასეთები მომრავლდნენ და თავს უფლებას აძლევენ, იმსჯელონ მათზე, ვინც ფეხბურთით ცხოვრობს. ჩვენ, მოთამაშეები, ვერევით მათ საქმეში?

**— ათასობით ახალგაზრდისთვის კერპი ხართ. რას ეტყოდით მათ?**

— ფეხბურთი მხოლოდ სიამოვნების მისაღებად ითამაშეთ. მხოლოდ ამაზე იფიქრეთ და წინა პლანზე ნუ წამოწევთ მილიონიან კონტრაქტებს ან მოდურ, ძვირფას ტანსაცმელს. ითამაშეთ და ამით გაერთეთ. ეს არის მთავარი!

**მოამზადა დავით ძოწენიძემ**

**გაბრიელ ომარ ბატისტუტა**



დაიბადა 1969 წლის 1 თებერვალს არგენტინის ქალაქ აველანედაში.

1988 — შესდგა მისი დებიუტი უმაღლეს ლიგაში „ნიუელს ოლდ ბოისის" შემადგენლობაში.

1990 — გადავიდა „ბოკა ხუნიორსში", მშვენივრად შეუწყვილდა დიეგო ლატორეს, 29 შეხვედრაში გაიტანა 13 გოლი და დაეხმარა კლუბს გაჩემპიონებაში.

1991, ივნისი — პირველად მოირგო არგენტინის ნაკრების მაისური, ბრაზილიის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ.

1991 — ჩილეში გახდა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი და 6 გოლი გაიტანა. ამასთანავე, ხელშეკრულება გააფორმა ფლორენციულ „ფიორენტინასთან".

1993 — „ფიორენტინამ" სერია B-ში გადაინაცვლა, მაგრამ ბატისტუტამ კლუბი არ დატოვა და ერთი სეზონი მისთვის შეუფერებელ ლიგაში ითამაშა.

1994, მაისი — „ფიორენტინა" სერია A-ს დაუბრუნდა.

1994 — მონაწილეობდა აშშ-ის მსოფლიოს ჩემპიონატში.

1994, შემოდგომა — დაამყარა სერია A-ს რეკორდი — სეზონის პირველ 11 მატჩში მინდორი უგოლოდ არ დაუტოვებია.

1996, 1 მაისი — „ატალანტას" ორი ბურთი გაუტანა, „ფიორენტინამ" ორი შეხვედრის ჯამში 3:0 მოიგო და იტალიის თასს დაესაკუთრა.

1996 — ფლორენციაში ბატისტუტას ძეგლი დაუდგეს.

1998, ზაფხული — საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე 5 მატჩში 5 გოლი გაიტანა. ამავდროულად, მიიღო საინტერესო, სარფიანი წინადადებები „პარმასა" და „მანჩესტერ იუნაიტედისგან", მაგრამ მაინც „ფიორენტინას" ერთგული დარჩა.

1998-99 წლების სეზონში სერია A-ში ჯერჯერობით ითამაშა 20 მატჩში და 18 გოლის გატანა მოახერხა.

1999, 7 თებერვალი — მაშინ, როდესაც „ფიორენტინა" სკუდეტოსთვის გამალებით იბრძოდა, „მილანთან" საშინაო მატჩში კუნთი გაუწყდა და უფეხბურთოდ ყოფნა დაახლოებით თვენახევარი მოუწევს. ეს მისი პირველი სერიოზული ტრავმაა კარიერაში.

# გულის ტრავმა

„ფიორენტინასა" და „მილანის" თამაშის ბოლო წუთები მიმდინარეობდა, როდესაც გაბრიელ ბატისტუტა მილანელთა საჯარიმოსკენ გრძელ პასს შეჰყვა და ... მარცხენა მუხლმა პირველად მაშინ დაიჩივლა არგენტინელი თავდამსხმელი ფლორენციელთა კართან კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთის მოგერიებას რომ ლამობდა, ახლა კი მწვავე ტკივილმა ჩაშალა ეს და კიდევ ბევრი სხვა შეტევა, უახლოესი 40 დღის განმავლობაში რომ იყო მოსალოდნელი.

ბატისტუტა დაშავდაო და იტალიის ტელევიზიამ იმავე საღამოს, პირდაპირ ეთერში, გამოკითხვა მოაწყო: ვინ გახდება ჩემპიონი, „ფიორენტინა" თუ „ლაციო"? მოპასუხეთა 62 პროცენტის აზრით, სკუდეტოს ახლა, უკვე, „ლაციო" დაესაკუთრება.

რთული დროება დაუდგა სერია A-ს ლიდერსა და ფავორიტს. ჩემპიონატის კრიტიკულ ფაზაში ხელიდან გამოეცალა ის, ვისაც ბრძენი მწვრთნელი, ჯოვანი ტრაპატონი, გუნდის გულს უწოდებს. დაშავებულია გაბელგიელებული ბრაზილიელი ლუის ოლივეირაც, ბრაზილიელი ედმუნდო კი რიოში კარნავალზე წავიდა და ბოლო ცნობების თანახმად სასამართლოშიც ამოჰყო თავი, რადგან რაღაც ავტოავარიაში შეიტანა წვლილი. ამრიგად „უდინეზეს" „ფიორენტინა" თავდამსხმელგანძარცვული უნდა შეხვდეს.

„მილანთან" შეხვედრაში ბატისტუტა აღარ ჰგავდა საკუთარ თავს და შინ, „არტემიო ფრანკიზე" გუნდს ზედიზედ მე-11 გამარჯვება ველარ მოაპოვებინა. „მილანს" თავად უჭირავს სკუდეტოზე თვალი და ფლორენციაში ისე ითამაშა, რომ არგენტინელს მალიმალ უკან დახევა და ბურთის მოსაპოვებლად ბრძოლა უწევდა. თამაშის მიწურულს კი...

თუმცა ბატისტუტას ასე სწამს: „ჩვენ ცხრილის სათავეში ვართ და ეს გარემოება არ გვაფრთხობს. ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა გაცილებით ხანგრძლივი პროცესია, ვიდრე რამდენიმე წუთში ჩატარებული ტელეგამოკითხვა".



REUTERS ფოტოქრონიკიდან

გაბრიელ ბატისტუტა კლინიკიდან საპრესკონფერენციო დარბაზში მოხვდა

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08



სარბიელის არქივიდან

ალექს ფერგიუსონი დაფასებული კაცია

# დაფასებაც ამას ჰქვია

„მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცი ალექს ფერგიუსონი მალე ბრიტანეთის ყველაზე უხვშემოსავლიანი მწვრთნელი გახდება — ასე აპირებს ქვეყნის უტიტულოვანესი კლუბი ბოლო დროის წარმატებათა შემოქმედის ამაგის დაფასებას. კერძოდ: „იუნაიტედის" დირექტორები და ხაზინადარნი ამზადებენ კონტრაქტს, რომლის პირობებშიც კიდევ სამი წლით თანამშრომლობა და 5 მილიონი გირვანქა ანუ დაახლოებით 8 მილიონი დოლარი იქნება ჩაწერილი. განა შეიძლება ამ თანხის შედარება იმ 1,6 მილიონ დოლართან, რომელსაც ფერგიუსონი თავის პრემიებიანად იღებს წელიწადში?

აქამდე კლუბის თავმჯდომარე მარტინ ედვარდსი ამბობდა, რომ ფერგიუსონთან ახალ ხელშეკრულებაზე ზაფხულამდე არ დაიწყებდნენ მოლაპარაკებებს, მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა. მას მერე, რაც ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ მანჩესტერელთა შოტლანდიელი ხელმძღვანელი ინგლისის ეროვნული გუნდის შესაძლო თავკაცთა შორის მოიხსენია, ედუარდსი დაფაცურდა.

ამრიგად, მოსალოდნელია, რომ ფერგიუსონი ზაფხულამდე ყველაფერს გაარკვევს და თუ „იუნაიტედში" დარჩენას გადაწყვეტს, ხელშეკრულება, რომელსაც გააფორმებს, ბოლო იქნება — ჩანაფიქრის თანახმად, სამი წლის მერე მისი მანჩესტერული ეპოპეა წარსულს უნდა ჩაბარდეს.

ალექს ფერგიუსონი 1986 წლის მერე მოღვაწეობს „ოლდ ტრეფორდზე". კლუბის ხელმძღვანელები წლეულს მის სახელზე საქველმოქმედო მატჩის გამართვასაც აპირებენ, რომლის შემოსავალიც მწვრთნელის ნება-სურვილის მიხედვით განაწილდება.




ეს ჭრელთმიანი ლომის ბოკვერი მომავალი ევროპის ჩემპიონატის ემბლემაა. ჰოლანდიის და ბელგიის დროშების ფერებში თმაშეღებილი თილისმისთვის სახელი ჯერ არ მოუგონიათ

## შოტლანდია

**თასის მესამე წრე**

**დანდი იუნ. — ქუინზ პარკი 1:0**

მერვედფინალის კენჭისყრა:
ეირი (I დივიზიონი) — ალბიონი (III დივიზიონი); კლაიდბანკი (I) ან როს ქაუნთი (III) — დანდი იუნაიტედი; მოზერველი — სტერლინგი (II); გრინოკ მორტონი (I) — კლაიდი (II); სტრანეირი (I) — ფალკირკი (I); ლივანგსტონი (II) — სენტ ჯონსტონი; სელტიკი — დანფერმლაინი; ჰამილტონი (I) — გლაზგო რეინჯერსი

## ჰოლანდია

**გამოტოვებული მატჩი**

**როდა 5:2 ნაიმეგენი**

1:0 ვან დერ ჰეიდენი (2), 2:0 ვან უდტი (4), 3:0 ლუიპერსი (19), 3:1 იანსენი (24), 3:2 საინოვსკი (34), 4:2 ვან უდტი (81), 5:2 ნიგაარდი (88)

## საფრანგეთი

**თასის პირველი წრე. გადათამაშება**

**ტუარი (III დივ.) 1:2 პსჟ**

## საბერძნეთი

მე-18 ტური. ეთნიკოსი (ასტირი) — არისი 0:1; ქსანტი — პანელეფსინიაკოსი 0:0; პანილიაკოსი — პანათინაიკოსი 1:2; პრუდეფტიკი — კავალა 1:0; ეთნიკოსი (პირეოსი) — ოფი 1:3; ირაკლისი — ვერია 2:0; პაოკი — იონიკოსი 0:0; აეკი — პანიონისი 3:0; ოლიმპიაკოსი — აპოლონი 0:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 18 | 13 | 2 | 3 | 45:14 | 41 |
| პანათინაიკოსი | 18 | 13 | 1 | 4 | 35:20 | 40 |
| აეკი | 18 | 12 | 3 | 3 | 40:15 | 39 |
| პაოკი | 18 | 11 | 3 | 4 | 27:17 | 36 |
| ქსანტი | 18 | 9 | 5 | 4 | 20:15 | 32 |
| არისი | 17 | 9 | 3 | 5 | 23:22 | 30 |
| ოფი | 18 | 9 | 2 | 7 | 27:21 | 29 |
| ირაკლისი | 18 | 7 | 6 | 5 | 27:17 | 27 |
| იონიკოსი | 18 | 7 | 5 | 6 | 30:19 | 26 |
| ეთნიკოსი (ა) | 18 | 7 | 2 | 9 | 22:30 | 23 |
| პანილიაკოსი | 18 | 6 | 3 | 9 | 24:28 | 21 |
| კავალა | 18 | 5 | 6 | 7 | 27:38 | 21 |
| პანიონისი | 18 | 6 | 2 | 10 | 29:29 | 20 |
| პრუდეფტიკი | 17 | 4 | 5 | 8 | 16:22 | 17 |
| პანელეფსინ. | 18 | 2 | 10 | 6 | 13:21 | 16 |
| აპოლონი | 18 | 3 | 5 | 10 | 21:43 | 14 |
| ვერია | 18 | 2 | 4 | 12 | 11:29 | 10 |
| ეთნიკოსი (პ) | 18 | 0 | 5 | 13 | 10:46 | 5 |

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXV ტური

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩარლტონი — ლივერპული | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| ვესტ ჰემი — ნოტინგემი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXI ტური

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლტონი — ვესტ ჰრომვიჩი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ბრედფორდი — იფსვიჩი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ბრისტოლი — სანდერლენდი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| კრისტალ პალასი — ქრიუ | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| ოქსფორდი — სვინდონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| პორტსმუთი — ბერი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| სტოკპორტი — ბირმინგემი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| ტრანმერი — ქუინზ პარკი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ვულვერჰემპტონი — პორტ ვეილი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

### ინგლისის თასის მერვედფინალი

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — შეფილდ იუნაიტედი (I) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ჰადერსფილდი (I) — დერბი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ლიდსი — ტოტენჰემი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ბარნსლი (I) — ბრისტოლ როვერსი (II) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| შეფილდ უენსდეი — ჩელსი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ევერტონი — ქოვენთრი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

14 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიუკასლი — ბლექბერნი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| მანჩესტერი — ფულემი (II) | 1,15 | 5,6 | 10,0 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXI ტური

14 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| პარმა — ბოლონია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| უდინეზე — ფიორენტინა | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| პერუჯა — ინტერი | 4,4 | 2,8 | 1,8 |
| პიაჩენცა — იუვენტუსი | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| კალიარი — ლაციო | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| ემპოლი — სალერნიტანა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| რომა — სამპდორია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| მილანი — ვენეცია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| ბარი — ვიჩენცა | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXII ტური

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩეზენა — რავენა | 2,8 | 2,7 | 2,4 |

14 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| კიევო — კოზენცა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| ფ. ანდრია — კრემონეზე | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| ტრევიზო — ლეჩე | 2,1 | 2,7 | 3,4 |
| ბრეშა — ლუკეზე | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ჯენოა — მონცა | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| რეჯინა — ნაპოლი | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| ატალანტა — პესკარა | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| ტორინო — ტერნანა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| რეჯანა — ვერონა | 3,2 | 2,7 | 2,2 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXII ტური

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| მალიორკა — სოსიედადი | 1,5 | 3,0 | 7,0 |
| ატლეტიკო — ესპანიოლი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| დეპორტივო — სალამანკა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

14 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტენერიფე — ოვიედო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ვილიარეალი — ვალენსია | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| ვალიადოლიდი — სელტა | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| ბარსელონა — რეალი | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| ბილბაო — ესტრემადურა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ბეტისი — რასინგი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| სარაგოსა — ალავესი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXIV ტური

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბადახოსი — ნუმანსია | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| ოსასუნა — ლეიდა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ალბასეტე — ატლეტიკო B | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ეიბარი — ლას პალმასი | 4,0 | 3,0 | 1,8 |

14 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლეგანესი — კომპოსტელა ($15^{00}$) | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ბარსელონა B — რაიო ვალეკანო ($15^{00}$) | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| ტოლედო — მალიორკა B ($15^{00}$) | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| რეკრეატივო — ორენსე | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| მერიდა — სევილია | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ერკულესი — ლოგრონიესი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| სპორტინგი — მალაგა | 3,2 | 2,7 | 2,2 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XXIV ტური

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბორდო — ბასტია | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| მონაკო — რენი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ლორიანი — მონპელიე | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| ლანსი — პსჟ | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ლიონი — ნანტი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| სტრასბური — ოსერი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| სოშო — ლე ავრი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

14 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნანსი — მეცი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| ტულუზი — მარსელი | 4,7 | 3,0 | 1,7 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XXII ტური

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოავიშტა — სალგეირუში | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| რიუ ავე — აკადემიკა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ბეირა მარი — შავეში | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ფარენსე — სეტუბალი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ლეირია — კამპომაიორენსე | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| მარიტიმუ — ბენფიკა | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| გიმარაეში — პორტუ | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| ალვერკა — ბრაგა | 2,2 | 2,8 | 3,1 |

14 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ამადორა — სპორტინგი | 2,6 | 2,8 | 2,5 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXI ტური

14 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| სპარტა — უტრეხტი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ალკმაარი — ფეიენოორდი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| ტვენტე — აიაქსი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| კამბური — როდა | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XXIII ტური

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლიერსი — მუსკრონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ანდერლეხტი — ეკერენი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ლომელი — სტ. ტრუიდენი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| გენტი — კორტრაიკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| სტანდარდი — შარლერუა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ლოკერენი — ვესტერლო | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| აალსტი — გენკი | 5,3 | 3,1 | 1,6 |

14 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ოსტენდე — ბევერენი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ჰარელბეკი — ბრიუგე | 5,3 | 3,1 | 1,6 |

### შოტლანდიის თასის მერვედფინალი

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოზერველი — ჰიბერნიანი (I) | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| ლივინგსტონი (II) — სტ. ჯონსტონი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| სელტიკი — დანფერმლაინი | 1,1 | 6,0 | 12,0 |

14 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰამილტონი — რეინჯერსი | 8,0 | 4,4 | 1,25 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XX ტური

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ქოჯაელი — გალათასარაი | 5,3 | 3,1 | 1,6 |

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ერზურუმი — სამსუნი ($14^{00}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ალთაი — საქარია ($15^{30}$) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ქარაბუქი — ისთანბული ($15^{30}$) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| ანთალია — ანკარა ($15^{30}$) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| გაზიანთეფი — ბეშიქთაში | 5,3 | 3,1 | 1,6 |

14 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| გენჩლერბირლიგი — დარდანელი ($15^{30}$) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ბურსა — ტრაბზონი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ფენერბაჰჩე — ადანა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

### ჰოკეი NHL

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი — ვაშინგტონი | 1,35 | 4,4 | 3,6 |
| აილენდერსი — ნეშვილი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| რეინჯერსი — კაროლინა | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ჩიკაგო — დეტროიტი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| კალგარი — ბოსტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ანაჰაიმი — დალასი | 2,2 | 4,4 | 1,8 |

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბუფალო — აილენდერსი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| ტორონტო — ჩიკაგო | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| მონრეალი — ფლორიდა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ოტავა — ვაშინგტონი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ნიუ ჯერსი — კაროლინა | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ტამპა ბეი — სან ხოსე | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| სენტ ლუისი — ედმონტონი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ნეშვილი — პიტსბურგი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| კოლორადო — ფინიქსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ვანკუვერი — ბოსტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ლოს ანჯელესი — დალასი | 2,4 | 4,4 | 1,7 |

14 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| რეინჯერსი — დეტროიტი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| კოლორადო — ფილადელფია | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ფინიქსი — ანაჰაიმი | 1,4 | 4,4 | 3,4 |

15 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბუფალო — კაროლინა | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ოტავა — ჩიკაგო | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| ნიუ ჯერსი — ტორონტო | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| აილენდერსი — ტამპა ბეი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| პიტსბურგი — ვაშინგტონი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ფლორიდა — სან ხოსე | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| სტ. ლუისი — ვანკუვერი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ნეშვილი — რეინჯერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| დალასი — ედმონტონი | 1,25 | 4,4 | 4,4 |
| ლოს ანჯელესი — ანაჰაიმი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## ქართველები საბჭოთა ნაკრებში

# ვლადიმერ გუცაევი




# მან იცოდა ფეხბურთი

1999 წელი. თებერვალი. სპორტის სასახლე და მიხეილ მესხის ხსოვნის ტურნირი მინიფეხბურთში. ჟურნალისტები უფრო მეტი, ვიდრე მაყურებელი. ტაშიც და ფეხბურთიც ერთნაირი — აქა-იქ და კანტიკუნტი. ჟურნალისტებს შორის ჯერაც ახალგაზრდა, შავგრემანი, უკვე სრული კაცი. მშვიდი, მაგრამ ფიქრიანი სახე. მშვიდადვე უცქერს დარბაზის ფეხბურთს და ამ დროს შეკითხვა — ვოვა, თქვენ თუ თამაშობდით მინის? პასუხი: — კი, როგორ არა. ჩვენს დროსაც ჩატარდა თბილისში დიდი ტურნირი მინიში. ბაქო, ერევანი, ჩვენ, ქუთაისის „ტორპედო", სხვებიც მონაწილეობდნენ. საუკეთესო ფეხბურთელი მომცეს მაშინ...

გესმის და გჯერა — მისცემდნენ. ერთი წუთითაც არ გეპარება ეჭვი. „ვოვა" ხომ ვლადიმერ გუცაევია. ვლადიმერ გუცაევი — ნომერი ცხრა. ფეხბურთელი, ვინც სლავა მეტრეველი შეცვალა მინდორზე. სლავა მეტრეველისეული მაისური მოირგო, მაისური ნომერი ცხრა.

და ახლა, როცა ფეხბურთს ხარ დანატრებული კაცი — ნაღდ, ჯიგრიან ფეხბურთს — იხსენებ იმ დროს — წლებს, თვეებს, წუთებს, წამებს, როცა ვოვა „დინამოს" მარჯვენა ფრთაზე დაჰქროდა (აკი შეარქვეს კიდეც რაკეტა) და გენატრება, სინანული, ნოსტალგია გიპყრობს...

ეეჰ! კარგი დრო იყო. ფეხბურთიც კარგი, რა დროება, რა თამაშები, რა გუნდები მეტოქედ და „დინამოც" რა გუნდი.

კერპები?! ეს ახლა აგროვებენ ქართველი ბიჭუნები „ფირმა ნაკლეიკებს" „ფირმა" ფეხბურთელების ფოტოებით, თორემ მაშინ კერპები აქ არა გვყავნდნენ? რა ფოტო, რის უცხოეთი. წელიწადი, სეზონი, ოცამდე თამაში სულ კერპებს არ ვუცქერდით „დინამოზე"?!

ვოვაც ბევრის კერპი იყო — ლამაზი, ორიგინალური, სხვებზე რომანტიკული ჭანჭიკი იმ დიდ მანქანაზე, დიდი „დინამო" რომ ერქვა.

ფეხბურთი სანახაობა არ არიო... მაშ რა? ვითომ რათაო? მე თუ მკითხავთ, ფეხბურთი სწორედაც რომ სანახაობაა, მეტიც, ცირკზე დიდი სანახაობაა, ოღონდ ისეთი, ფასი უნდა ესმოდეს მაყურებელს — ყველა ვერ მიხვდება, ვერც გაიგებს ყველა. აი, კაი მთქმელს კაი გამგონე უნდაო, ხომ ვიცით ქართველებმა, ჰოდა, იმ დიდ „დინამოში" ყველაზე უფრო გუცაევი ქმნიდა სანახაობას, ზოგჯერ კი მართლა ცირკს აწყობდა.

მაშინ ასე არ იყო. მაშინ „დინამო" სხვა ხილი იყო, სხვა სიმაღლე, იქ ეგრე ადვილად ვერ მოხვდებოდა კაცი. თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის ბიჭი „დინამოში"? გინდა დუბლში გეთამაშა თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლისას — კაცი იყავი, ქუდი გეხურა, ბურთის გესმოდა რა! გუცაევისთვისაც ნიჭი დაებერტყა გამრიგეს, თვრამეტზე ოდნავ მეტისას უკვე დებიუტი ჰქონდა დიდ „დინამოში" — მაგარი იყო და იმიტომ.

მერე კიდევ — სხვანაირი იყო-მეთქი. იმ ტოტალურობიაში, გაუვალი დაცვების დროებაში იდგა თავისთვის მარჯვენა ფრთაზე და უფრო მეტოქის კარისკენ იცქირებოდა, დაცვა არ იყო მისი საქმე. შეტევა, შეტევა, შეტევა... სულ იერიში, იერიში, იერიში... და კიდევ დოინჯი. ხშირად დოინჯი, მისეული, გამორჩეული დოინჯი. იტანდა „დინამო" ამ დოინჯს. არ იყო გუცაევი ის კაცი და ის ფეხბურთელი, ოთხმოცდაათი წუთი „ყველგან ყოფილიყო". აქ ბურთი ჩაეჭრა, იქ ვარდნა გაეკეთებინა... თავისი საქმე და ადგილი ჰქონდა. ჰქონდა და იცოდა. კარგად იცოდა. აფეთქდებოდა და მტრისას... ორი-სამი ასეთი აფეთქება მთელ თამაშს ჰყოფნიდა და სტაბილური იყო ამავე დროს. სტაბილურად ფეთქდებოდა ხოლმე. სტაბილურად მთელი კარიერის მანძილზე.

მიიღებდა პასს და რაღაცნაირად დარდიმანდულად, არხეინად გაიგდებდა ბურთს. განა სირბილით, ნელა, შემპარავად, ნაბიჯ-ნაბიჯ ეპარებოდა და მეტოქე რომ აფუსფუსდებოდა, მერეღა აფეთქდებოდა ხოლმე. საოცარი მოწყვეტა იცოდა ადგილიდან. მყისიერი, ელვისებური. მოწყდებოდა და მიჰქროდა ოდნავ წინ წახრილი, მხრებში თავჩარგული. მეტოქე მცველსაც რა ძალა ჰქონდა, რა ჩარა იყო — უნდა წაექცია და აქედან ტრავმები, ტრავმები, ტრავმები. ბოლოს ისიც თქვეს — ამდენმა ტრავმამ დააშინა გუცაევიო.

ლამის პირით ხაზამდე ირბენდა, მერეღა აწვდიდა. აწვდიდა ყუმბარასავით, გასწვრივ, გამჭოლს. იქ კი იყო ხალხი — დასწრებაც იცოდნენ, დარტყმაც, გატანაც. აბა, ფეხბურთი ის იყო...

ცირკი ვახსენე. გუცაევის პენალტები რა, ცირკი არ იყო? შეიჭრებოდა მეტოქის საჯარიმოში და იმგვარად დაეხლერთებოდა გაზონზე, მისი ცოდვით მაღლა ცა იწვოდა, დაბლა მიწა, ტრიბუნაზე კიდევ გულშემატკივარი. ძალიან ქვისგულა უნდა ყოფილიყო მსაჯი, ხელი საპენალტო ნიშნულისკენ არ გაეშვირა — არაერთი და ორი გვახსოვს ამგვარი, წაიქცეოდა გუცაევი და ურტყამდა პენალტებს „დინამო".

ყიფიანი — გუცაევი — შენგელია ხომ ზღაპარი იყო მთლად. ისეთს და იმგვარს მოიფიქრებდნენ, კაციშვილი ვერაფრით იგუმანებდა. დადგებოდა დათო. ჯარიმის დასარტყმელად ემზადებოდა. მერე ყიფიანისებურად ამოჰკრავდა, კედელს თავზე გადაატარებდა და იქ საჯარიმოში გუცაევი უკვე ელოდა ბურთს.

ანდა გუცაევი — შენგელიას „კუთხური"?! აქაც ჭვინტი, ანაც ტერფის გარეთა ნაწილი ერეოდა საქმეში — რბილი, ტექნიკური ჩაწოდება, მცველთა ზურგიდან უეცრად წინ გამოვარდნილი შენგელია და საფირმო დარტყმა კეფით ანაც ფეხის ზურგით. ბურთი იმგვარად იჭრებოდა, მეკარეს აღების მისხალი შანსიც აღარ რჩებოდა.

ვლადიმერ გუცაევის მთელი კარიერა სტაბილურობის ერთგვარი ნიმუშია. საოცარია, რამდენი დრო მიჰქონდათ ტრავმა-აღდგენებს და მაინც გუცაევი თავისი თაობის უსტაბილურეს მოთამაშედ დარჩა. არ იყო ტურნირი, მატჩი, რომელსაც მნიშვნელობა ჰქონდა და იქ გუცაევს თავი არ გამოეჩინა. გოლებიც სხვა ქართველ გარემარბებზე მეტი თუ არა, არც ნაკლები გაიტანა და რაც მთავარია, ქმნიდა გოლებს.

ძნელია გუცაევზე, მის თაობაზე ისაუბრო და 13 მაისი არ ახსენო. 13 მაისი მთელი თავისი სილამაზით, დიდებულებით, სიდიადით, ეპოქალურობით. იქ, „რაინშტადიონზე" ჰოპემ გაიტანა და გინებად შემართა ხელი. ეს ორმაგი დაცინვა იყო — ერთი ბედის (გოლი გავუშვით), მეორე თვითონ „კარლ ცეისის" მესამე ნომრისა (უხამსი ჟესტი გვიჩვენა).

მადლობა ღმერთს, ოთხიოდ წუთში ერთმა თბილისელმა მარჯვედ დაჰკრა და ჟესტიც საკადრისი „უძღვნა" მეტოქეს. ის მარჯვე კაცი ვლადიმერ გუცაევი იყო.

და თუ ვიტალი დარასელიას გოლს ხშირად ვახსენებთ, გუცაევის გოლმა რა დააშავა ნეტავი?! ის დიდი გოლი იყო თავისი მნიშვნელობით, შესრულების დონით, სილამაზით, მაგრამ ესეც სახსენებელია, რამეთუ ურთმანეთოდ ხიბლი არა აქვთ ამ გოლებს.

1982 წელს ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე რომ გუცაევს ეთამაშა (ყიფიანსაც), ვინ იცის, სადამდე მიაღწევდა სსრკ-ის ნაკრები. მას სწორედ გამომგონებლობა და ტემპერამენტი დააკლდა ბოლოს, პოლონეთის ნაკრებთან თამაშში — გამომგონებლობა და ტემპერამენტი, რომელიც საკმაოდ გააჩნდა გუცაევს.

სხვა, სანაკრებო თამაშები კი ბდღვნად არ ღირს, გუცაევ-ფეხბურთელს მათში მონაწილეობით არც მიმატებია რამე, არც დაკლებია. გუცაევი მხოლოდ საკლუბო ფეხბურთელად დარჩა, ოღონდ დიდ ფეხბურთელად.

დაბოლოს, სხვა გუცაევზეც ვთქვათ. ოცდაათს გადაცილებულ, დაბრძენებულ, ფეხბურთში ჭიპმოჭრილ ვლადიმერ გუცაევზე. იგი ხომ ერთ-ერთი ბოლო წავიდა დიდი ფეხბურთიდან თავისი თაობის წარმომადგენლებს შორის. ეს ის გუცაევი არ იყო, მაგრამ არც ეს „დინამო" იყო ის „დინამო". ეს ის გუცაევი კი არ იყო, მაგრამ ბებერი ხარისა ჯერაც ხნავდნენ რქები, ვაგლახ, ერთმა (ორმა, სამმა) მერცხალმა ვერ მოიყვანა გაზაფხული...

მეხსიერებას ახალი ტანდემი — გუცაევი — გაზაევი შემორჩა. ჰაი-ჰაი, იბრძოდნენ ძველები, მაგრამ ალმასვლას კანონზომიერმა დაღმასვლამ მოსდია და მისი შეჩერება კაცის ძალას აღემატებოდა.

და წავიდა ვლადიმერ გუცაევი დიდი ფეხბურთიდან წყნარად, უხმაუროდ, ისევე, როგორც ბევრი მისი თაობიდან და დარჩა მოგონება, მონატრება, სინანული, ნოსტალგია დიდი ფეხბურთისა, სავსე ტრიბუნისა...

მას შემდეგ, გუცაევის თაობის შემდეგ ხომ ერთი ორჯერ თუ შეივსო ქვეყნის უმთავრესი სტადიონის ტრიბუნები. ნაღდი, ჯიგრიანი ფეხბურთიც ერთი ორჯერ თუ ვიხილეთ.

...იჯდა სპორტის სასახლეში სრული, შავგრემანი, ჯერაც ახალგაზრდა კაცი და ფიქრიანად ადევნებდა თვალს მიხეილ მესხის ხსოვნის ტურნირს მინი-ფეხბურთში. და შეკითხვა: ვოვა, თქვენ თუ თამაშობდით მინის? პასუხი: — კი, როგორ არა. საუკეთესო ფეხბურთელი მომცეს მაშინ...

და გჯერა, მისცემდნენ. მინიც იცოდა, დიდიც. საერთოდ, ფეხბურთი იცოდა.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



რამაზ ცერცვაძის არქივიდან

მუდმივი დუელი: ვლადიმერ გუცაევი — ალექსანდრე ნოვიკოვი



რამაზ ცერცვაძის არქივიდან

„დინამო" — „ფეიენოორდი": ვლადიმერ გუცაევმა ერთხელაც გააბითურა მეტოქე

# გუშინ ყველაფერი იყო: აზარტიც, დრამატიზმიც...



ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტო

დინამო — სდასუ.
დინამოელმა ლევან წიკლაურმა ამ შეტევით გუნდს ორი ქულა შესძინა

10 თებერვალი
თბილისი
ვერის ბაღი
14 ტური

**დინამო 75:74 სდასუ**

I ტაიმი 39:35

დინამო: ნიკოლაძე (21), ხოშტარია (27), ახვლედიანი, ვ. აბულაძე (8), კილაძე (10); ხეცურიანი (2), წიკლაური (5), ნინიაშვილი (2)

სდასუ: თორთლაძე (23), უძილაური (24), გიგაური (10), გიგაშვილი (8), მაჭარაძე (2); ხარაძე (2), ორჯონიკიძე, ქევხიშვილი (5)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

დელეგატი: თენგიზ ქიქოძე

**გახსოვთ** საბჭოთა ეპოქა, მაშინდელი საკალათბურთო ციებ-ცხელება და იმდროინდელი „დინამო"? წუთი განდიდების, წამი ალმაფრენის და სიხარული, სიხარული, სიხარული... ზოგჯერ ტკივილი და სიმწარე, რომელიც დღევანდელი გადმოსახედიდან წარმოუდგენლად ლამაზად იმზირება, ეს ტკბობა იყო, სიამოვნება და ტკბობა, რასაც თითოეული განვიცდით, ვგრძნობდით და გვიხაროდა, გვიყვარდა და იმიტომ.

კალათბურთი გვიყვარდა თავისი არსით, შინაარსით, მიმზიდველობით... და იყო წამები, რომელიც არასდროს დაგვავიწყდება, ღრმად ჩაბეჭდილა ჩვენს მეხსიერებაში და არასდროს გაფერმკრთალდება, ეს სულ სხვა იყო, აბა, ის დრო დღევანდელთან რას მოვა?

წარსული გავიხსენეთ და იქნებ მავანმა მკრეხელობადაც კი ჩაგვითვალოს ამის ფონზე შინაურ ბურთაობაზე რომ ჩამოვაგდოთ სიტყვა. მავანია ის, ვისაც ჩირადაც არ ულირს ეროვნული პირველობა, მისი ტკივილი. არც გაემტყუნება, მას ხომ გაცილებით დიდი და შთამბეჭდავი კალათბურთი უნახავს. ამაზე აღარავინ კამათობს და თუ დღეს დიდი მოკრძალებით „დიადს" „მომცროს" გვერდში ამოვუყენებთ, ეს წარსულის მონატრებაა, სურვილი იმ განუმეორებელი წუთების ხელმეორედ განცდისა.

დიახაც რომ იყო რაღაც მსგავსი გუშინდელ შეხვედრაში — დინამიკა, აზარტი, დრამატიზმი. ერთი სიტყვით, თვალსასეირო სანახაობა და გამარჯვების სურვილით აღგზნებული გუნდები, რაც არცთუ ისე ხშირია ჩვენი ყოფიერების გადამკიდე.

ისე, ეს შეხვედრა ნაღდად თანმიმდევრულ განსჯას იმსახურებს.

შეხვედრა გუნდებმა ნერვიულად დაიწყეს და აქეთ-იქით რამდენიმე უსარგებლო შეტევის შემდეგ კილაძემ ზუსტი პერსონალურით გახსნა ანგარიში, რასაც მალე ნიკოლაძის გარღვევაც დაერთო, თუმცა არც უძილაურის საპასუხო სროლამ დაახანა. უმალ კილაძემ და გიგაურმა გაცვალეს ორქულიანები და სასტარტო მღელვარებაც გაქრა. სდასუ-ს შორეული სროლები არ წაუვიდა და სწრაფი შეტევებითღა გადიოდა იოლას, როცა თორთლაძის გონივრული გადაცემის შემდეგ ხელსაყრელ პოზიციაში რჩებოდნენ გიგაშვილი და გიგაური. დინამოელებმა კი უფრო კომბინაციური თამაში ირჩიეს და მეთოდური შეტევებით ავიწროებდნენ მეტოქეს, რაც კილაძე-ხოშტარიას დუეტს ლოგიკურ დასასრულამდე მიჰყავდა. ტაიმის შუაგულში თამაში შესამჩნევად გაიხსნა. გუნდები შეტევებს მიეძალნენ, რამაც დაცვითი რგოლები მოარყია და მოთამაშეებს მეტი სამოქმედო სივრცეები გაუჩნდათ. ამით უფრო უკანახაზელებმა ისარგებლეს — ხოშტარიას ზუსტ სამიანს უძილაურმაც ამგვარადვე უპასუხა. თავისიანთა მომდევნო შეტევები ისევ ამ კალათბურთელებმა დაასრულეს და ისევ სამიანებით, მაგრამ კვლავაც ზაზა ცაგარეიშვილის თავკაცობით მოთამაშე „დინამომ" ჭკუა იხმარა, უძილაურს ცაგარეიშვილმა პერსონალური მეურვე აადევნა და როცა ასევე უმწვრთნელოდ მოთამაშე სდასუ-მ იგივე ჟესტს ხოშტარიას მისამართით მიმართა, ცაგარეიშვილმა ხოშტარია სათადარიგოებში გაამწესა.

წუთის შემდეგ დინამოელთა ლიდერი ირაკლი ხოშტარია კვლავ მოედანზე იყო, რასაც მისი გუნდის ალმაფრენაც დაერთო და ტაიმის გასრულებამდე სამი წუთით ადრე ათი ქულით ჩამოიტოვეს მათ მეტოქე 33:23. თუმცა ახლა თორთლაძემ გამოიდო თავი — სამიანი ჩააგდო. უძლიაურმაც იგივე მოიმოქმედა და „დინამო" შესვენებაზე ოთხქულიანი უპირატესობითღა წავიდა.

შეხვედრა ხოშტარიას გარღვევით განახლდა, რასაც თორთლაძემ უპასუხა. ამის შემდეგ სდასუელებმა იგდეს ხელთ მატჩის სადავეები და ორგანიზებული დაცვითა და კომბინაციური თამაშით სხვაობის შემცირება იწყეს. ეგ კი არა, სამწუთეული 11:0 მოიგეს და წინაც გავიდნენ — 48:43. ხუთექვს ქულიან ჩამორჩენას დინამოელები კარგა ხანს ვერაფერს უხერხებდნენ, მაგრამ არ დაიბნნენ და ბურთის ხანგრძლივ გათამაშებას მიჰყვეს ხელი. აქ კი გიორგი ნიკოლაძე გამოირჩა, რომელიც წინ გაუძღვა თავისიანებს და სწორედ მისი აქტიურობის შედეგად „დინამო" დაწინაურდა კიდეც 63:61.

ამის შემდეგ თამაში ქულა-ქულაზე გაგრძელდა. სიტუაცია უფრო და უფრო იძაბებოდა, გამარჯვებულის ვინაობა კი ჯერაც გაურკვეველი იყო.

მატჩის დასრულებამდე ორი წუთიღა რჩებოდა. სდასუ სამ ქულას იგებდა. „დინამომ" 30 წამის წესი დაარღვია და შეტევა კვლავაც სტუდენტებს დარჩათ, მაგრამ ქევხიშვილმა აშკარად იჩქარა და დინამოელთა საპასუხო შეტევა გიორგი ნიკოლაძის უმნიშვნელოვანესი სამიანით დასრულდა — 74:74.

სტუდენტების მორიგი მცდელობა კვლავაც უშედეგო გამოდგა და ახლა „დინამოს" ჯერიც დადგა. მრავალსვლიანი კომბინაცია გიგაურმა ჯარიმით შეაჩერა და საჯარიმო ხაზზე კილაძე დადგა. ამ უკანასკნელმა ორიდან ერთი პერსონალური მოათავსა, რაც სრულიად საკმარისი გამოდგა გასამარჯვებლად.

დარჩენილ ოთხ წამში სდასუ უძლური იყო...

**დიმიტრი ნიშნიანიძე**

# რევანში შედგა

10 თებერვალი
თბილისი
ვერის ბაღი
14 ტური

**შევარდენი 85:106 კოლხა**

I ტაიმი 49:54

შევარდენი: კაზანჯიანი (23), მაჭავარიანი (14), შ. გაგნიძე (6), მოისწრაფიშვილი (3), ღვინეფაძე (10); მესხი (12), ხობელია (15), ოქრიაშვილი (2)

კოლხა: ბერიშვილი (22), ბერია (13), კვაჭაძე (20), კეიდია (12), უგრეხელიძე (14); ბ. ქვილითაია, თოდუა (8), ძიძიგური (4), ვ. ქვილითაია (10), ვაშაკიძე (3)

მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, დავით ბერეკაშვილი

დელეგატი: აკაკი მეგრელაძე

**გუშინ** აუტსაიდერთა შეხვედრაში „კოლხამ" დამაჯერებლად იმარჯვა. წინა წრეში „შევარდენთან" დიდი სხვაობით დამარცხებულებს რევანში სწყუროდათ და მიზანსაც მიაღწიეს.

სოხუმელები თავიდანვე ფარზე გაბატონდნენ და პირველივე წუთებიდან დაწინაურდნენ.

მათ შედეგიან შეტევებს შევარდენელები მხოლოდ წესების დარღვევით უპირისპირდებოდნენ. სოხუმელები ჯარიმებსაც კარგად ასრულებდნენ და მალე 15 ქულით წინ გაიჭრნენ 21:6. ამ პერიოდში „შევარდენის" მონაგარი 6 ქულა კაზინჯიანის და მოისწრაფიშვილის ზუსტი სამიანების შედეგი გახლდათ.

დიდი სხვაობით დაწინაურებამ „კოლხა" დაამშვიდა. მისმა მეტოქემ ამით ისარგებლა და ცდილობდა, სხვაობა შეემცირებინა. შევარდენელთა ამოქმედებამ სოხუმელები განარისხა, მაგრამ ისინი ხშირად ჯარიმდებოდნენ. მიუხედავად ამისა კოლხელები ხუთქულიანი უპირატესობის შენარჩუნებას მაინც ახერხებდნენ. ეს კი უმთავრესად კვაჭაძის სამიანების და ბერიშვილის დარღვევების წყალობით ხდებოდა. ტაიმის ბოლო წუთისკენ „შევარდენმა" კაზანჯიანის სროლით ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირა, თუმცა მეტი აღარ დასცალდა, კოლხმა ბერიშვილმა თავი გამოიდო და ხუთქულიანი სხვაობა აღადგინა.

მეორე ტაიმი კოლხებმა კვლავ ჯარიმებით დაიწყეს, თუმც ამით „შევარდენმა" დიდად ვერ ისარგებლა. სოხუმელი სტუდენტობის გამოფხიზლება კეიდიამ ითავა. მან დაცვაშიც ივარგა და თავდასხმაშიც მთლად აიკლო მოწინააღმდეგე. სწორედ კეიდიას წყალობით „კოლხა" საგრძნობლად დაწინაურდა — 64:53. „შევარდენმა" წუთშესვენება ითხოვა, რაც მათ თამაშსაც დაეტყო — ხობელიამ და მაჭავარიანმა ანგარიშში სხვაობა შეამცირეს 64:61.

თითქოსდა შევარდენთ მატჩი სათავისოდ უნდა შეებრუნებინათ, მაგრამ... უგრეხელიძემ საკუთარ ფარზე ბატონპატრონობას, სწრაფი გადაცემებიც დაურთო, თანაც თანაგუნდელებმა კონტრიერიშებშიც გამოიღეს ხელი, რის შედეგადაც, მატჩის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე „კოლხა" 20 ქულის სხვაობით იგებდა — 82:62.

...კოლხებმა საბოლოოდ 100-ქულიანი ზღვარიც გადალახეს და ჯავრიც ამოიყარეს.

**მამუკა ტულუში**

# ვიცე-ჩემპიონები ჩემპიონური სვლით

10 თებერვალი
თბილისი
ვერის ბაღი
14 ტური

**აზოტი 113:85 თსუ**

I ტაიმი 52:40

აზოტი: ჟღენტი (21), გაბისონია (15), გოგობერიშვილი (13), ბაბიაშვილი (19), ჯაფარიძე (18); ბერუაშვილი (15), გოგოლაძე (2), ჩაჩუა (2), ჯიმშელეიშვილი (6), დანელიანი (2), ბარამიძე

თსუ: ვეფხვაძე, წონელია (15), დიმიტრიადი (16), მარკოიშვილი (2), ხელაშვილი (18); მგალობლიშვილი (21), არსიაშვილი (13)

მსაჯები: როლანდ ხომერიკი, ზურაბ აბაშიძე

დელეგატი: აკაკი მეგრელაძე

**რუსთავის** „აზოტს" მთელი სეზონის მანძილზე შეხვედრა არ წაუგიათ, მეტიც, ჯერჯერობით ვერც ერთმა კლუბმა ვერ გაუწია მათ ღირსეული მეტოქეობა. გუშინ რუსთაველებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი იმსხვერპლეს. მათ ყველა სათამაშო კომპონენტში დაჩაგრეს მოწინააღმდეგე. თსუ-მ მატჩის მსვლელობისას ერთხელაც ვერ გაათანაბრა ანგარიში, დაწინაურებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ჩემპიონატის ლიდერებმა პირველი ნახევრის დასაწყისშივე მოინდომეს მატჩის ბედის გადაწყვეტა და ხელსაც არავინ უშლიდა. შეხვედრის პირველივე წუთზე „აზოტის" ცენტრმა ჯაფარიძემ სამქულიანით გახსნა ანგარიში, თსუ-მ უხეიროდ უპასუხა და ირაკლიმ კიდევ ორი ქულა შესძინა თავის გუნდს. შემდეგ იუბილარი ოდისეი დიმიტრიადი მშვენივრად შევიდა ფარქვეშ და 5:2 — წინ „აზოტია". ამან რუსთაველები გააქტიურა. შეუჩერებელი იყო „აზოტისა" და ეროვნული ნაკრების მცველი არჩილ ჟღენტი. მისმა ზუსტმა სროლებმა და სწრაფმა გარღვევებმა სტუდენტებს შეხვედრის მოგების იმედი მთლიანად გადაუწურა. მე-6 წუთზე რუსთაველებმა 12-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს.

„აზოტის" უფროსმა მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემ შეცვლებს უხშირა, მოედანზე მიხეილ ბერუაშვილი შემოიყვანა. მიშა კარგად ჩაება თამაშში, პირველივე მიღებული ბურთი ლამაზად მოათავსა თსუ-ს კალათში. ანგარიში თანდათან იზრდებოდა „აზოტის" სასარგებლოდ.



ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტო

აზოტი — თსუ. რუსთაველი მიხეილ ბერუაშვილი (ბურთით) ვერც ამჯერად შეაჩერა სტუდენტმა ოდისეი დიმიტრიადიმ, ისევე როგორც თსუ-მ „აზოტი"

თსუ-ს შემადგენლობაში რამდენიმე მატჩის გამოტოვების შემდეგ გამოჩნდა ლევან მგალობლიშვილი, რომელმაც თანაგუნდელები გაამხნევა, ორი სამქულიანი ჩააგდო, დაცვაშიც იაქტიურა და ანგარიშში სხვაობა 6 ქულამდე შეამცირა, თუმც დროებით. ახლა გოგობერიშვილმა ისროლა სამიანი, მას ორჯერ ბერუაშვილმა მიბაძა და თსუ-მ, შეიძლება ითქვას, პირველივე ნახევარში დაყარა ფარ-ხმალი.

აზოტელებს ყველაფერი კარგად გამოსდიოდათ, ყოფილი თსუელები ჟღენტი და ბაბიაშვილი ძირითადად სწრაფი შეტევებით აღწევდნენ მიზანს. პირველი ნახევრის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე რუსთაველები უკვე 18 ქულას იგებდნენ, თუმცა თორმეტსღა დასჯერდნენ.

შესვენებაზე შუქი ჩაქრა და შეხვედრის მეორე ტაიმი ჩაბნელებულ დარბაზში ტაბლოსა და წამზომის გარეშე განახლდა. ყოველივე ამან თამაში გააუფერულა.

აზოტელები, პირველი ნახევრის დარად, ახლაც აქტიურობდნენ. შეტევებს კარგად დამუშავებული კომბინაციების შემდეგ ჟღენტი, ხანაც ჩაჩუა აგვირგვინებდა. ცენტრებიც ადვილად აღწევდნენ მიზანს. სროლა წაუვიდა ზაზა გაბისონიას, რომელმაც მეორე ტაიმში ექვსი სამქულიანიდან ხუთი ჩააგდო.

სტუდენტებს არაფერი გამოსდიოდათ, თუმცა აღარც „აზოტი" იწუხებდა თავს დაცვაში თამაშით. შეხვედრამ ინტერესი დაკარგა. რუსთაველებმა 30 ქულით ჩამოიტოვეს მეტოქე. ოთარ ხმელიძემ წამყვანი კალათბურთელები დაასვენა და ახალგაზრდებს მისცა თავის გამოჩენის საშუალება. თანაგუნდელების შემხედვარე მათაც ივარგეს და მეტოქეს არანაირი შანსი არ დაუტოვეს. აზოტელებმა ყველაფერი კარგად გააკეთეს, მეტოქეს აშკარად აჯობეს და დამაჯერებლადაც გაიმარჯვეს.

**ზურაბ გონაშვილი**

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია მწუხარებით იუწყება რომ გარდაიცვალა **ნოდარ გიორგობიანი** და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

საქართველოს ჩემპიონატი
13 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 14 | 14 | 0 | 1189:994 | 28 |
| სტუ | 14 | 12 | 2 | 1092:998 | 26 |
| ვითა | 14 | 10 | 4 | 828:734 | 23 |
| თსუ | 14 | 8 | 6 | 1157:1129 | 22 |
| დინამო | 14 | 8 | 6 | 1117:1107 | 22 |
| სდასუ | 14 | 6 | 8 | 1002:1073 | 20 |
| შევარდენი | 14 | 4 | 10 | 987:1096 | 18 |
| კოლხა | 14 | 4 | 10 | 985:1125 | 18 |
| მაკაბი | 14 | 3 | 11 | 1041:1120 | 17 |
| აკა | 14 | 1 | 13 | 422:444 | 15 |

ვითას დაკლებული აქვს 1 ქულა

რეგულარული ჩემპიონატი

# როგორ სჭირდება ჯორდანი ხარებს



REUTERS საიტიდან

სიეტლი — გოლდენ სტეიტი. დონიელ მარშალის (ბურთით) შეტევებმა სიეტლელებს ბევრიც ვერა დააკლო

9 თებერვალი

**სიეტლი 90:71 გოლდენ სტეიტი**

სიეტლი: პეიტონი (20), ოუენსი (8), შრემპფი (6), ბეიკერი (8), პოლინაისი (8); ელისი (13), ჰოკინსი (10), სტეფანია (2), ვილიამსი (4), მაკლინი (4), ნორისი (4), ლუისი (4), კოტონი (1), მაკკოი

გოლდენ სტეიტი: სტარქსი (12)

როგორც იქნა, შედგა პირველი ქართველი კალათბურთელის, ვლადიმერ სტეფანიას ისტორიული დებიუტი კალათბურთის ეროვნულ ასოციაციაში. „მზად ვიყავი, მიმეცა შანსი ვლადიმერ სტეფანიასთვის" — თქვა სიეტლის მთავარმა მწვრთნელმა პოლ ვესტფოლმა და აასრულა კიდეც. სტეფანიამ ათი წუთი ითამაშა მატჩის ბოლოს. მისმა გუნდმა სიეტლმა კი იოლად მოუგო მეტოქეს და ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა.

შეხვედრა, რა თქმა უნდა, მასპინძელთა სრული უპირატესობით დაიწყო და სიეტლი პირველი მეოთხედის ბოლოს უკვე 23:10 იგებდა. თამაშის მეორე ნახევარში, როდესაც ყველაფერი გადაწყვეტილი იყო და ნათლად ჩანდა, რომ უსუსური გოლდენ სტეიტი ვეფარაფერს ილონებდა, მასპინძელთა დამრიგებელმა პოლ ვესტფოლმა ძირითადი მოთამაშეები დაასვენა და სათადარიგოებს, მათ შორის ქართველს მისცა თავის გამოჩენის საშუალება. მათაც იმედი არ გაუცრუეს.

სიეტლი მომდევნო მატჩსაც მის მიერ გაბითურებულ მეტოქესთან ითამაშებს, ამჯერად სტუმრად და, ვნახოთ მაშინ რითი გამოიჩენს თავს სტეფანია მსოფლიოს უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში.

**ფინიქსი 95:112 საკრამენტო**

ფინიქსი: გულიოტა (26)

საკრამენტო: ვებერი (28 ქულა, 20 მოხსნა)

ვანკუვერთან საუცხოო თამაშის შემდეგ, სადაც ლამის ოთხმაგ დუბლს გამოჰკრა ხელი, საკრამენტოს ახალგამომცხვარმა ლიდერმა კრის ვებერმა ფინიქსიც არ დაინდო და საშინელი დღე აყარა. მან 28 ქულასა და 20 მოხსნას ექვსი პასი და სამი დაფარებაც დაუმატა და საკრამენტოს სამიდან უკვე ორი თამაში მოაგებინა. ვებერს 22 ქულითა და 5-5 მოხსნა-პასით მშვენივრად წაეხმარა ახალგაზრდა ჯეისონ ვილიამსი, რომელიც კარგად შეეწყო მეფეებს და პირველსავე სეზონში ჩინებულად ირჯება. ვილიამსი ერთობ გახარებული ყოფილა იმით, რომ საუკეთესო გამთამაშებელ ჯეისონ კიდს (17 ქულა, 7 პასი) არ ჩამორჩა და ტოლ-სწორად ეთამაშა. ეს მან აღნიშნა კიდეც და ისიც დაუმატა, ყმაწვილობაში კიდი ჩემი კუმირი იყოო. სწორედ ვებერისა და ვილიამსის კარგი თამაშით სტუმარი გუნდი მატჩის დასაწყისისთანავე გაიჭრა წინ და თავის წარმატებაში არავინ დაუეჭვებია. არადა, საკრამენტოს 11 წელი (ზედიზედ 24) თამაში არ მოეგო ფინიქსში. ფავორიტად მიჩნეულმა ფინიქსმა „კინგზს" ვერაფერი მოუხერხა. მისმა ლიდერმა ტომ გულიოტამ ბოლო მეოთხედის მესამე წუთზე ტექნიკური ჯარიმაც მიიღო. ამით გაბრაზებულმა ფინიქსის მწვრთნელმა კი იმდენი იჩხუბა, სანამ მსაჯმა ისიც არ „დაასაჩუქრა"...

**ჩიკაგო 71:87 ატლანტა**

ჩიკაგო: კუკოჩი (16)

ატლანტა: სმიტი (30)

როგორ სჭირდება მაიკლ ჯორდანი „ჩიკაგო ბულზს"! დაჩაგრავდა კი აგრერიგად ატლანტა მის გუნდს? რა თქმა უნდა, ვერა. რაც მაიკლ ჯორდანი 1995 წელს წლინახევრის შესვენების შემდეგ ნბა-ში მობრუნდა, ჯორჯიელებს ზედიზედ შვიდი თამაში არ მოეგოთ ჩიკაგოს დარბაზ UNITD CENTRE-ში. ახლა კი უმაიკლოდ დარჩენილ ჩიკაგოს პირველივე შეხვედრაში მარცხი აწვნია. ჩიკაგოს უკანახაზელი რონ ჰარპერი ურიგო მოთამაშე არაა, მაგრამ აბა, სად შეუძლია ჯორდანის მაგივრობა გაწიოს. ჰოდა, ვერც შეძლო თავისი, ერთ დროს კი ჯორდანის მეურვე ატლანტელის სტივ სმიტის შეჩერება. სმიტმაც გაილაღა და 30ქულა ჩაუგდო დაუძლურებულ ჩემპიონს, მატჩის შემდეგ კი თქვა, ჩემი ამპლუის (მსროლელი) მსოფლიოში უძლიერსი მოთამაშის წინააღმდეგ გარჯა დიდად დაეხმარა გავზრდილიყავიო.

**დალასი 79:90 იუტა**

დალასი: სებალოსი (19)

იუტა: მელოუნი (31 ქულა, 12 მოხსნა)

„იუტა ჯაზს" „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" ვერაფერი მოუხერხა და დალასი რაღას დააკლებდა. ვერც დააკლო, მიუხედავად იმისა, რომ სედრიკ სებალოსი, მაიკლ ფინლი (15 ქულა) და 20 წლის გერმანელი ახალბედა ნოვიცკი ბევრს ეცადნენ და იმასაც მიაღწიეს, რომ მეოთხე მეოთხედში იუტასთან თანაბარი ანგარიშით — 64:64 შეაბიჯეს. მეტი კი ველარ შეძლო ტეხასურმა გუნდმა. იუტას გამოცდილებამ და მელოუნის ბრწყინვალე თამაშმა თავისი ქნა და მასპინძელმა სტუმარს ბოლო მეოთხედში 11 ქულა დაუთმო.

**მაიამი 101:108 ბოსტონი**

მაიამი: ჰარდევეი (24), პორტერი (21)

ბოსტონი: უოლკერი (31 ქულა, 10 მოხსნა), ანდერსონი (22)

მაიამის ნამდვილად არ უდგას საუკეთესო დღეები. წინა სამი მატჩიდან ორში მარცხნაწვნევმა პატ რაილის ბიჭებმა ვერ შეძლეს, საკუთარ მოედანზე დაემარცხებინათ რიკ პიტინოს შეგირდები. შეუდარებელი იყო „სელტიკსელი" ანტუან უოლკერი, ვისი გაჩერებაც გადაუჭრელ პრობლემად იქცა მთელი „ჰიტისთვის". ანდერსონის და ახალბედა პოლ პირსის შემწეობით უოლკერმა მშვენივრად დაიწყო მეორე ნახევარი და შეძლო, მატჩის ბოლომდე შეენარჩუნებინა უპირატესობა. მაიამის ძალიან გაუჭირდა საკმაოდ ჩქარ ტემპში მოთამაშე სტუმრებთან გამკლავება. თან მას ორი ძირითადი მოთამაშე — ვოშონ ლენარდი და ჯამალ მაშბურნი აკლდა. მატჩი ცენტრმა ალონზო მურნინგმა ჩაავლავა და მხოლოდ 14 ქულას დასჯერდა. ამ წაგებით კი მაიამი ატლანტიკის დივიზიონის ცხრილში ბოლოსწინა ადგილზე, მასავით ფავორიტად მიჩნეული, მაგრამ შერცხვენილი ნიუ იორკის წინ დამკვიდრდა.

**მინესოტა 74:70 სან ანტონიო**

მინესოტა: სილი (16)

სან ანტონიო: რობინსონი (16 ქულა, 11 მოხსნა)

წინა დღეს შაკილ ონილის ლეიკერსთან მარცხნაწვნევმა სან ანტონიომ ვერც ლეიკერსზე გაცილებით სუსტი მინესოტის ძლევა შეძლო და ზედიზედ მეორედ დამარცხდა. დევიდ რობინსონი ამ მატჩში წინაზე უკეთ გამოიყურებოდა, თუმცა 16 ქულა მისი შესაძლებლობის კალათბურთელისთვის მაინც ცუდ შედეგად უნდა ჩაითვალოს. სტუმრებისთვის სამწუხაროდ, ეს მატჩი გუნდის მეორე ლიდერმა ტიმ დანკანმაც „ჩააგდო" — 10 სროლიდან 8 ააცილა და მხოლოდ რვა ქულასლა დასჯერდა. სან ანტონიო ბოლო მეოთხედში სტივენ მარბერიმ (12 ქულა) გატეხა. მან რამდენიმე მნიშვნელოვანი ქულა მოიპოვა, მათ შორის დამთავრებამდე 43 წამით ადრე ორქულიანით 74:70 გახადა, ამ ჩამორჩენის დაძლევა კი სტუმრებისთვის დაუძლეველი ბარიერი აღმოჩნდა.

**ფილადელფია 90:86 დეტროიტი**

ფილადელფია: აივერსონი (19)

დეტროიტი: ჰილი (32)

ფილადელფიამ ზედიზედ მესამედ მოიგო და დეტროიტს პირველი მარცხი აგემა ზედიზედ ასევე სამი გამარჯვების შემდეგ. წინა სეზონში ატლანტიკის დივიზიონის ყველაზე სუსტი გუნდის ლიდერი ალენ აივერსონი მატჩში საშუალოდ 22 ქულაზე მეტს აგროვებდა. ამ სეზონის სამი თამაშიდან მან ერთხელაც ვერ გადალახ 20-ქულიანი ზღვარი, მაგრამ ფილადელფიამ რაღაც მანქანებით სამივე თამაში მოიგო და მოულოდნელად დივიზიონის ცხრილის მწვერვალზეც წამოსკუპდა.

**ტორონტო 77:91 მილუოკი**

ტორონტო: კარტერი (22)

მილუოკი: ალენი (17)

„სიეტლ სუპერსონიქსის" ყოფილმა მწვრთნელმა ჯორჯ კარლმა თავის ახალ გუნდ მილუოკის მეორე შეხვედრაც მოაგებინა, თანაც სულ იოლად. წინა სეზონში ცენტრალური დივიზიონის ცხრილის ფსკერის მკვიდრი ტორონტო სამ მეოთხედს უწევდა წინააღმდეგობას შარშან ამავე დივიზიონის მეშვიდე გუნდს, მაგრამ მერე ადვილად გატყდა და ბოლო მეოთხედი 16:30 დათმო.

ირაკლი ფირაშვილი

| აღმოსავლეთის კონფერენცია | მ | წ | % |
| --- | --- | --- | --- |
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| ფილადეფია | 3 | 0 | 100 |
| ორლანდო | 2 | 1 | 66,7 |
| ბოსტონი | 2 | 2 | 50,0 |
| ნიუ ჯერსი | 1 | 1 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 1 | 2 | 33,3 |
| მაიამი | 1 | 3 | 25,0 |
| ნიუ იორკი | 0 | 2 | 0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| მილუოკი | 2 | 0 | 100 |
| დეტროიტი | 3 | 1 | 75,0 |
| ატლანტა | 3 | 1 | 75,0 |
| ინდიანა | 2 | 1 | 66,7 |
| ტორონტო | 1 | 2 | 33,3 |
| ჩიკაგო | 1 | 2 | 33,3 |
| შარლოტი | 1 | 2 | 33,3 |
| კლივლენდი | 0 | 3 | 0 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 3 | 0 | 100 |
| ჰიუსტონი | 2 | 1 | 66,7 |
| მინესოტა | 2 | 1 | 66,7 |
| სან ანტონიო | 2 | 2 | 50,0 |
| დალასი | 1 | 2 | 33,3 |
| ვანკუვერი | 0 | 2 | 0 |
| დენვერი | 0 | 3 | 0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| სიეტლი | 3 | 0 | 100 |
| ფინიქსი | 2 | 1 | 66,7 |
| ლეიკერსი | 2 | 1 | 66,7 |
| საკრამენტო | 2 | 1 | 66,7 |
| პორტლენდი | 1 | 1 | 50,0 |
| კლიპერსი | 0 | 2 | 0 |
| გოლდენ სტეიტი | 0 | 3 | 0 |



# ტონგამდე ფიჯის

სულ უფრო და უფრო მცირე დრო რჩება 6 მარტამდე, ანუ იმ დღემდე, როცა ქართველ მორაგბეთა ნაკრები წლევანდელ მსოფლიოს თასზე მოსახვედრად ორეტაპიან დამატებით შესარჩევ ტურნირში ითამაშებს. ორივე ეტაპი ორრაუნდიანია ანუ მეტოქეები ერთმანეთს ორჯერ — შინ და გარეთ შეხვდებიან. თავდაპირველად ქართველთა მეტოქე, მოგეხსენებათ, ტონგელები იქნებიან. პირველ მატჩს ბორჯღალოსნები სტუმრად ჩაატარებენ, შინ კი მოწინააღმდეგეს 28 მარტს დავუხვდებით. ცხადია, რაგბის კავშირისა და ნაკრების ხელმძღვანელობა ცდილობს, დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოიყენოს ნაკრების მოსამზადებლად. ჰოდა, ქართველი მორაგბეები პოლინეზიას მატჩამდე ორი კვირით ადრე სწორედ ამიტომაც ეწვევიან.

20 თებერვალს ბორჯღალოსნები ფიჯიში გაემგზავრებიან და ტონგელებთან დასაპირისპირებლად ათდღიან შეკრებას მოაწყობენ. იქიდან კი, ორ ან სამ მარტს ტონგას გაეშურებიან. ტონგელებს საქართველოს რაგბის კავშირისთვის შემოუთვლიათ, ჩვენ მხოლოდ თქვენი სტუმრობის ხუთ დღეს დავაფინანსებთო (რაგბიში მეტოქე გუნდის სტუმრობის ხარჯს მასპინძელი კისრულობს), არადა, ქართველთ იქ სულ მცირე, ერთი კვირით მოუწევთ გაჩერება, რადგან თვითმფრინავი უკან გამოსამგზავრებლად 9 მარტამდე არ იქნება.

ფიჯის ვარიანტი ახლახან გაჩნდა, მანამდე კი რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა აპირებდა, ნაკრები ზელანდიაში გაეგზავნა მოსამზადებლად.

ნაკრების ძირითადი ბირთვი ტონგასთან შესახვედრად იგივე იქნება, რაც ირლანდიაში იყო, თუმცა მწვრთნელებმა რამდენიმე ახალბედასაც უხმეს. ესენი არიან — ყოჩი ხეხელაშვილი, არმიელი შველიძე და საფრანგეთის „სერინიანში" მოთამაშე ნიკოლაენკო. ნაკრების სრული შემადგენლობა კი ასე გამოიყურება:

*პირველი ხაზი:* მთიულიშვილი, გიორგაძე, ცაბაძე, ნიკოლაენკო, შველიძე

*მეორე ხაზი:* ნადირაძე, პარწიკანაშვილი, დიდებულიძე

*მესამე ხაზი:* იაშვილი, მჭედლიშვილი, ლაბაძე, კაცაძე

*შერკინების ნახევარმცველები:* შ. მოდებაძე, გიორხელიძე

*თავისუფალი ნახევარმცველი, სამმეოთხედელები და მცველი:* ჯიმშელაძე, მაჩიტიძე, აბაშიძე, ხამაშურიძე, მაისურაძე, ხეხელაშვილი, ურჯუკაშვილი, ქავთარაშვილი.

# ახალი ზელანდია ზე-16-ს უარობს

აგერ უკვე ლამის წელიწადია, მსოფლიოს რაგბის სამი ბობოლა — ახალი ზელანდია, ავსტრალია და სამხრეთ აფრიკა ზე 12-ის ზე 16-ად გადაქცევის შესახებ ბჭობს, თუმცა ჯერჯერობით უშედეგოდ. გეგმა, რომელიც სამხრეთ ნახევარსფეროს უპირველეს საკლუბო ტურნირში მონაწილე გუნდების რაოდენობის 12-დან 16-მდე გაზრდას ითვალისწინებდა, როგორც ჩანს, ვერც გაისად განხორციელდება. საქმე ისაა, რომ ზელანდიის რაგბის კავშირი ამის წინააღმდეგია, საკითხის დადებითად გადასაწყვეტად კი ზემოჩამოთვლილი სამივე ქვეყნის რაგბის კავშირის დასტურია საჭირო. კენჭისყრა ამის თაობაზე 15 თებერვალს უნდა გაიმართოს ოკლენდში, თუმცა ამთავითვე ცნობილია, რომ ზელანდიელები გუნდების შემატებას მხარს არ დაუჭერენ. ისინი მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ამ ნაბიჯმა შესაძლოა ტურნირის ავტორიტეტი დააკნინოს. ავსტრალიელები და სამხრეთაფრიკელები კი იმიტომ არიან ამ სიახლის მომხრენი, რომ იმ ოთხი კლუბიდან, რომლებიც გათამაშებას უნდა შეემატონ, ორი ამ ქვეყნებისაა, ერთი — ამერიკული და ერთიც ოკეანეთის ერთ-ერთი ქვეყნისა.

# კელტებმა თვისტომს პირი უტეხეს

რამდენს არ ეცადნენ ავსტრალიელები, ირლანდიელებს ამ ზაფხულს ექვსჯერ შეხვედროდნენ, მაგრამ საწადელს ვერაფრით მიაღწიეს — კელტები ოზეთში მხოლოდ ოთხ შეხვედრას გამართავენ. თამაშების ოდენობის შეკვეცა კი იმან გამოიწვია, რომ ირლანდიის რაგბის კავშირი ვერ იძლევა იმის გარანტიას, რომ კლუბები ექვსი კვირით შეელევიან თავიანთ უძლიერეს მორაგბეებს.

ავსტრალიის რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი, წარმოშობით ირლანდიელი ჯონ ონილი თვისტომთა ასეთმა გადაწყვეტილებამ ძალიან დაამწუხრა: „მათ ის მოიმიზეზეს, კლუბები მოთამაშეებს დიდი ხნით ვერ შეელევიანო, მაგრამ ეს მხოლოდ საბაბია. რას იზამ, თუ არ სურთ, არც ჩვენ დავაძალებთ. ისე კი, ირლანდიელთა გადაწყვეტილებამ ძალიან დაგვწყვიტა გული, თუმცა მეორე შემადგენლობით ჩამოსვლას, საერთოდ ჩამოუსვლელობა აჯობებს" — ონილი ინგლისელთა შარშანდელ ნამოქმედარს გულისხმობდა, როცა ალბიონელები „ვოლაბებს" მეორე შემადგენლობით შეერკინენ.

ამ ოთხი მატჩიდან ორში ირლანდიელები ახალი სამხრეთი უელსის პროვინციას დაუპირისპირდებიან 31 მაისს გოსფორდში და 5 ივნისს სიდნეიში, ორჯერაც „ვოლაბებს" ტესტ-მატჩებში — 12 ივნისს ბრისბენში და ერთი კვირის თავზე პერტში.

პაატა თოთაძე



სარჩიელის არქივიდან

ირლანდიელები (შეტევაზე) ზაფხულში ავსტრალიას ეწვევიან

# გადაფრენა ლას ვეგასში და უკან
## ტაისონს პარაშასთან ვინ დასვამს

**მონტგომერის** საგრაფოს ციხე გადაჭედილია. ამ ოთხასორმოცდაათ ადგილიან შრომა-გასწორების დაწესებულებაში 650 ტუსაღს მოუყრია თავი. ექვსას ორმოცდამეთერთმეტე პატიმარი წესით ულოგინოდ უნდა იყოს და სადმე, პარაშასთან გამონახოს ადგილი, მაგრამ ეს ის კაცი არ არის, ორმაგრა ნარკოდილერებს და თაღლით ურჩ გადამხდელებს მიუჯდეს გვერდით.

ამ პატიმარს იზოლირებული საკანი და ლამის ქურდის წილი პატივი ერგება ციხეში, ვინაიდან მაიკ ტაისონი ჰქვია.

როკვილელ მოსამართლის მიერ საციხოდ განწირული ტაისონი ახლა სწორედ ამ საკანში ზის და ყველა ცდება, ვისაც ჰგონია, რომ საციხო ცხოვრებას შეგუებია. ამერიკული და მერილენდის კანონების ლაბირინთებში მრავლად მოიძებნება იმგვარი ადგილები, ჭკვიანი კაცი რომ თავის სასარგებლოდ გამოიყენებს.

ერთ-ერთი ასეთი რამ ყოფილა მერილენდის ციხეებიდან განთავისუფლების საალმზრდელო პროგრამა. ამ პროგრამას შეერთებული ტუსაღი მნიშვნელოვნად იიოლებს საციხო ყოფას და ადრიანადაც თავისუფლდება. ოღონდ, პროგრამასთან შეერთება მხოლოდ პატიმრის ნება-სურვილზე არ ჰკიდია. საგანგებო კომიტეტმა მას მრავალი საწერი, თუ ზეპირი ფსიქოლოგიური ტესტი უნდა შეავსებინოს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტს, ღირს თუ არა, ამ ტუსაღის გამოსწორება, გამოსწორება კი პროფესიით მუშაობის უფლებასაც გულისხმობს.

მაიკ ტაისონი ამ კვირაში გაივლის ფსიქოლოგიურ ტესტირებას (უკვე მერამდენეს ცხოვრებაში!). მისი ბანაკის სურვილი ერთია, ბიჭს ვარჯიშის საშუალება მიეცეს. კრივი — ტაისონის პროფესიაა. ვარჯიში — პროფესიით მუშაობა.



სარბიელის არქივიდან

ტაისონს დუმილს ურჩევენ

თუმცა, აქ სირთულე ის არის, რომ ტესტი რომც გაიარო, პროგრამაში ხვალვე არ ჩაგრთავენ, არამედ რამდენიმე თვის შემდეგ. გააჩნია, რამდენი გაქვს მისჯილი.

არის კიდევ ერთი პრობლემა, ექნება თუ არა ამ პროგრამას შეერთებულ ტაისონს შტატის საზღვრის გადაკვეთის უფლება, ვთქვათ, ლას ვეგასში გაფრენის, იქ ჩხუბისა და ციხეში დაბრუნების საშუალება. ეს ჯერ პროკურორმა უნდა თქვას და მერე მოსამართლემ გადაწყვიტოს.

„ტესტს თუ გაივლის, სამ-ოთხ თვეში შეეძლება ივარჯიშოს“ — ამბობს კლერ განსტერ-კირბი, მონტგომერის საგრაფოს ამგვარ საქმეთა პრეს-მდივანი.

ტაისონის ქომაგები შიშობენ, რომ ნევადის ათლეტთა კომისია კვლავ მიუბრუნდება მოკრივის ლიცენზიის თემას. მითუმეტეს, რომ კომისიის თავმჯდომარემ, მარკ რატნერმა თქვა, ერთი კარგად უნდა გავარკვიოთ, რა მოხდა როკვილშიო. მოკრივის ვექილებს კი იმ საკითხის ჩაფარცხვა მოუწევთ, რომლის მიხედვითაც ტაისონს ათქმევინეს, თავს დამნაშავედ არ ვცნობო.

მართლაც, ტაისონის კარიერის გადარჩენის ერთადერთი შანსი, მისი ჩუმად ყოფნა და ანტიდეპრესიული წამლების წესიერად სმაა.

თუკი გაუმართლებს და პროგრამას შეურთდება, ტაისონი დღეში 10 საათს თავისუფალი იქნება და ვარჯიშიც შეეძლება და ჩხუბიც. „კაცს პროფესიას ხომ არ წავართმევთ. ჩვენ ვცდილობთ, ადამიანმა არ დაკარგოს პროფესია“ — ამტკიცებს განსტერ-კირბი.

მონტგომერის საგრაფოს პროკურორის დაგლას განსლერისგან უკვე მოითხოვენ პასუხს, გაუშვებს კი იგი ტაისონს საჩხუბრად, თუკი ყველაფერი ისე აეწყობა, როგორც ვარაუდობენ? განსლერი კონკრეტულად არ პასუხობს, მაგრამ აცხადებს:

„როცა ჯერისწერა აქვს კაცს, ჩვენ მას ვუშვებთ. როცა რაიმე გამოუვალი და აუცილებელია, ასევე ვაძლევთ რამდენიმე დღეს. როცა განსაკუთრებული სამუშაოა შესასრულებელი, მაშინაც ვუწვდით დახმარების ხელს“.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



# ფრანკფურტში, ნაცნობ მისამართზე

არ დაადგა საშველი ანა დოლონაძეში გაცვლილი ბატუტების გერმანიიდან ჩამოტანას. ჩვენს მოძველებულ ბატუტებზე ვარჯიშს კი აზრი თითქმის არა აქვს. ამას მოუწესრიგებელი სავარჯიშო დარბაზიც ემატება, სადაც ზამთარში წვრთნა თითქმის შეუძლებელია. სწორედ ამ მიზეზით შარშან, გაზაფხულზე რუსუდან ხოფერიას მსოფლიოს თასის მოსამზადებელი ეტაპი მთლიანად ჩაუვარდა.

წლეულსაც რომ იგივე არ დამართნოდათ, დღეს ხოფერიამ და მისმა მწვრთნელმა ზაურ სულაშვილმა გეზი გერმანიისკენ, ნაცნობ მისამართზე — ფრანკფურტის ტანვარჯიშის დარბაზისკენ აიღეს. მათ იქ უკვე შინაურულადაც მიესვლებათ, რადგან დოლონაძის კონტრაქტით გერმანულმა მხარემ იმ ორი ბატუტის ჩუქების გარდა ვალდებულებაც იკისრა, ოლიმპიადამდე რვა თვის განმავლობაში უფასოდ დაუთმოს დარბაზი ხოფერიას და იქ ყოფნის ხარჯებითაც უზრუნველყოს.

თბილისში დაბრუნებამდე, 20 მარტს ხოფერია ჰოლანდიას ეწვევა „ყვავილის თასზე“ საასპარეზოდ.

მანამდე გერმანიის გზას კიდევ ერთი ქართველი ბატუტისტი — ლია ბენდიანიშვილი დაადგა, რომელიც სპორტიდან რამდენიმე წლის წასულია. იგი გერმანიაში მოღვაწე მისი ყოფილი მწვრთნელის თენგიზ ხუდოევის კონტაქტების წყალობით ლია ერთ-ერთმა კლუბმა სინჯებზე მიიწვია.

**ირაკლი თავაძე**



# პისტოლ პიტის დაბრუნება

**საჩოგბურთო სეზონის პირველი თვენახევრის გაცდენის შემდეგ მსოფლიოს პირველი ჩოგანი პიტ სამპრასი ასპარეზობას სან ხოსეში დაუბრუნდა. პისტოლ პიტი შარშან შემოდგომაზე სარეკორდოდ ზედიზედ მეექვსედ კლასიფიკაციაში პირველობისთვის ბრძოლამ სასტიკად დაქანცა: კარიერაში პირველად მას შვიდ ტურნირზე შეუსვენებლად მოუხდა თამაში. ამიტომ იანვრის დასაწყისში ამერიკელის გადაწყვეტილებას ავსტრალიის ღია პირველობის გამოტოვების შესახებ ბევრი არც გაუკვირვებია**



სარბიელის არქივიდან

პიტ სამპრასმა არდადეგებზე გულიანად მოილხინა

სან ხოსე. აშშ. **SIBASE OPEN**.
დარბაზი. ჰარდი.
საპრიზო 350 ათასი $

მწვანე კონტინენტზე ოფლისღვრის ნაცვლად სამპრასი ჩოგანს რამდენიმე კვირას არ გაკარებია, დრო გოლფის თამაშსა და დასვენებაში გაატარა და პირველად ბოლო წლების მანძილზე თავს შვებულების უფლებაც მისცა — ჰავაიზე მზეს შეფიცხება, საზღვაო მოტოციკლეტებით სეირნობა და ვეშაპებზე დაკვირვება, აბა, ვის არ მოუხდებოდა.

28 ნოემბრის შემდეგ თავის პირველ მატჩში სამპრასისგან ყველა უამრავ შეცდომას, უვარჯიშებლობის ზეგავლენას ელოდა, მაგრამ ამერიკელი, როგორც არასდროს, ისე ჰგავდა საკუთარ თავს: 11 ეისი, ერთადერთი დაკარგული ქულა პირველ მოწოდებაზე, ერთადერთი ორმაგი, უძლიერესი და უზუსტესი ფორჰენდები.

პიტმა მეტოქეს, ესპანელ გალო ბლანკოს ორივე სეტში თითოჯერ აართვა მოწოდება, თავად ბრეიკ-პოინტის გადარჩენემაც კი არ მოუწია და საბოლოოდ 6:4, 6:4 მოსაგებად ზუსტად ერთი საათი დასჭირდა. მატჩის შემდეგ ბოლო წლების საუკეთესო ჩოგბურთელს ჟურნალისტებმა დანაკარგიც აანაზღაურებინეს.

**— პიტ, თამაშით კმაყოფილი ხართ?**

— საკუთარი თავისგან სტაბილურ თამაშს არ ველოდი, რაკილა ამდენი ხანია, არსად მიასპარეზია, მაგრამ ეს ველოსიპედის ტარებას ჰგავს, რომელიც არასოდეს გავიწყდება. ცოტა გამიკვირდა კიდეც, რომ ყველაფერი გამომივიდა.

**— ადრე არაერთხელ გითქვამთ, რომ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დიდი სლემის ტურნირებია. მაშინ რატომ გააცდინეთ ავსტრალია და ასეთ პატარა პირველობაზე თამაში არჩიეთ?**

— ყველაფერი ასე იოლი სულაც არ არის. მინდოდა, საკუთარი თავისთვის დასვენების საშუალება მიმეცა და რაც შეიძლება სწრაფად დამებრუნებია ფორმა. ავსტრალიაში დიდი სიამოვნებით წავიდოდი, ოღონდ თებერვალში რომ გადმოეტანათ.

**— სეზონის ბოლოს პირველი ჩოგნობა ზედიზედ მეექვსეჯერ შეინარჩუნეთ. რეკორდის მოხსნამ ზეწოლა და სტიმული არ შეგიმცირათ?**

— ალბათ, ზეწოლა წლეულს მართლაც ნაკლები იქნება, მაგრამ დარწმუნებული იყავით, სეზონის ბოლო რომ მოვა, პირველობის კიდევ ერთხელ შესანარჩუნებლად ყველაფერს ვიღონებ. ასე რომ, დანებებას არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებ, ეს არ მჩვევია.

**— ავსტრალიის ღია პირველობის დროს რას აკეთებდით, თავს მოუსვენრად არ გრძნობდით, რომ იქ არ იყავით?**

— ტურნირის პირველი კვირის მანძილზე ბობ ჰოუპ კრაისლერ კლასიკში (გოლფის ტურნირია ცნობილი პიროვნებების მონაწილეობით) ვმონაწილეობდი, საკმაოდ დაკავებული ვიყავი და არც ჩოგბურთის ყურებით და მისი ამბების შეტყობით შემიწუხებია თავი. ცოტა მაშინ დამწყდა გული, იქ მეოთხედფინალების, მნიშვნელოვანი მატჩების დრო რომ დადგა, მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება არასოდეს მინანია. მოხარული ვარ, რომ მელბურნში არ წავედი. ვგრძნობდი, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად მზად რომ შევხვედროდი სეზონს, ხანგრძლივი დასვენება მჭირდებოდა.

**— არ გსურთ, ერთი მთავარი მეტოქე გყავდეთ, რომელთან პაექრობაც სტიმულს შეგმატებდათ?**

— ამჟამად ერთი მეტოქის ყოლა ძნელი წარმოსადგენია. თანამედროვე ჩოგბურთში ორი-სამი მოთამაშისთვის სტაბილურად სლემის ტურნირის ფინალში გასვლა უსაშველოდ გართულებულია. ყველა ისე გაძლიერდა, რომ მსოფლიოს მესამე და მეთხუთმეტე ჩოგნებს შორის თითქმის არანაირი განსხვავება არ არის.

რა თქმა უნდა, ყველასთვის კარგი იყო, მე და ანდრე (აგასი) რამდენიმე წლის წინ მუდმივად გადამწყვეტ მატჩებში რომ ვებრძოდით ერთიმეორეს, მაგრამ არა მგონია, მსგავსი რამ წლეულსაც განმეორდეს. თუგინდ მელბურნული ისტორია აიღეთ, კაფელნიკოვის გამარჯვებას ხომ არავინ ელოდა.

**— როგორ ინარჩუნებთ სიმშვიდეს ამდენი წლის მანძილზე და არ ემსგავსებით გაბოროტებულ კონორსს ან მაკინროის?**

— ალბათ, იმიტომ, რომ ფსიქოლოგიურად საკმაოდ მედეგი პიროვნება ვარ. ვიცი, რომ სეზონის მანძილზე რამდენიმე ცუდი მატჩი გარდაუვალია, ამიტომ წაგება არცთუ ძალიან მაღიზიანებს. ვახერხებ, სტაბილურობა შევინარჩუნო.

სამპრასის მთავარი მეტოქე სან ხოსეში სწორედ ზემოხსენებული ანდრე აგასი იქნება, რომელმაც პიტი აქ შარშანდელ ფინალში დაამარცხა.

მეტად იმედგამაცრუებელ ასპარეზობას მელბურნში, სადაც ხოტორა ამერიკელი მეოთხე წრეში თანამემამულე ვინს სპედეასთან დამარცხდა, აგასის მოტივაციაზე ზეგავლენა არ მოუხდენია. პირველი წრეში მან უმცროსი „ვუდი“ — ტოდ ვუდბრიჯი დაამარცხა იოლად 6:2, 6:1.

ლასვეგასელი პლეიბოი ავსტრალიური ფიასკოს შემდეგ საკუთარი მდგომარეობის ახსნასაც კი ნაცნობი საკაზინო ტერმინოლოგიით შეეცადა: „წარმოიდგინეთ, რომ ბელქჯექს მსხვილი ჩიპებით თამაშობთ და უცებ ყველაფერს წააგებთ. შენ თავიდან პატარა ჩიპებით იწყებ და ცდილობ, ძველი პოზიციები დაიბრუნო. ცოტა ძნელია, მაგრამ რას იზამ.“

თუმცა მოულოდნელი თუ დასანანი წაგებები აგასის პოპულარობას ვერაფერს აკლებს. პირთამდე სავსე მის მატჩს ამჯერად ჰოლივუდელი ოსკაროსანი კომიკოსი — რობინ უილიამსიც ესწრებოდა, რომელიც ანდრეს ახლო მეგობარია. უილიამსი შარშან ჩოგბურთელის საქველმოქმედო ორგანიზაციასაც გვარიანად დახმარებია: მასთან ერთად სადილობის უფლების გაყიდვამ აგასის ფონდს 100 ათასი დოლარი მოუტანა.

**პირველი წრე: მარკ ფილიპუსისი (3, ავსტრალია) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:7 (2:7), 7:5, 6:3; მაიკლ ჩანგი (4, აშშ) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 6:3, 6:2; კრისტიან რუუდი (ნორვეგია) — მარიანო პუერტა (5, არგენტინა) 6:2, 4:6, 6:3; ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) — ჟან-მაიკლ გემბილი (6, აშშ) 6:3, 7:6 (8:6); იონ ვან ლოტუმი (ჰოლანდია) — ჯიმ კურიე (აშშ) 6:4, 7:6 (7:4); პოლ გოლდსტაინი (აშშ) — კარლოს კოსტა (ესპანეთი) 6:4, 4:6, 6:4.**

დუბაის ღია პირველობა.
არაბეთის გაერთიანებული საემიროები. ჰარდი.
საპრიზო 1,2 მილიონი $

პირველმა წრემ დუბაიში ერთი, მაგრამ მართლაც დიდი მოულოდნელობა მოიტანა — ასპარეზობას ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი და მსოფლიოს მეორე ჩოგანი ალექს კორეტხა გამოეთიშა.

პირველად განთესილმა ესპანელმა ტანდაბალ ავსტრალიელ ენდრიუ ილისთან გადამწყვეტ სეტში ვერც 4:1 უპირატესობა შეიშნო და ვერც ხუთი მატჩ პოინტი, ორსაათნახევრიან მატჩში შეცდომაც ბლომად დაუშვა და საბოლოოდ 6:4, 4:6, 6:7 (10:12) დამარცხდა.

„მაყურებლებს ჩემი გულიანად ქომაგობისთვის დიდ მადლობას ვუხდი. ისინი რომ არა, შეიძლება არაფერი გამომსვლოდა“ — განაცხადა პრეს-კონფერენციაზე ილიმ, რომელიც მატჩის მოგების შემდეგ ჩაიმუხლა და კორტს აკოცა.

რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონატის მომგებ კორეტხას, აგასის არ იყოს, სეზონის პირველ დიდი სლემის ტურნირს ნაადრევად რომ გამოეთიშა, იგი დუბაისთან ერთად კლასიფიკაციის მეორე ადგილსაც გამოეთხოვა — ორშაბათიდან იქ კარლოს მოია ან ევგენი კაფელნიკოვი ალზევდება.

**პირველი წრე: კარლოს მოია (2, ესპანეთი) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 1:6, 6:3, 6:4; ტიმ ჰენმანი (3, ინგლისი) — უეინ ბლექი (ზიმბაბვე) 6:0, 6:4; გრეგ რუზეცკი (4, ინგლისი) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 6:4, 6:3; კაროლ კუჩერა (5, სლოვაკეთი) — ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი) 6:0, 6:2; იონას ბიორკმანი (შვედეთი) — ბორის ბეკერი (გერმანია) 6:3, 6:4; ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) — უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) 3:6, 6:2, 7:6 (13:11); პეტერ კორდა (ჩეხეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:3, 6:4.**

**ავთანდილ სვანიძე**

# ეშმაკების შიდგლობა

9 თებერვალი

**კოლორადო — კალგარი 1:2**

**0:0 0:1 1:1**

**0:1 ფლერი 21'31 (26); 0:2 ნაზაროვი 42'19 (5); 1:2 იელე 44'21 (8)**

13 რომ ნამდვილად თარსი რიცხვია, სამშაბათს კოლორადოც დარწმუნდა. ზედიზედ 12 მატჩის მოგებისა დეტროიტისა და დალასის დარი, მონსტრების ძლევის შემდეგ ვინ იფიქრებდა, რომ ჩინებულად მოასპარეზე „ევექლანში" კალგარის რაიმეს დაუთმობდა, თანაც საკუთარი გულშემატკივრის თვალწინ. ის, რომ მასპინძლებს გაუჭირდებოდათ, პირველივე წუთებიდან გახდა ნათელი, როცა კალგარიმ „ზვავების" ზონაში გადაიტანა თამაში და პატრიკ რუა არა და არ მოასვენა. მოპირდაპირე კარში მდგომი კენ რეგეტი კი, რომელიც სამი თვის განმავლობაში მკურნალობდა, ნაკლებად იყო დასაქმებული და ყინულზე დაბრუნების სიხარულიც არ ჩაშხამებია. მასპინძლები მხოლოდ იელეს მიერ გატანილი შაიბის შემდეგ გააქტიურდნენ, მაგრამ უკვე გვიან იყო და პიტსბურგის 1993 წლის რეკორდიც — ზედიზედ 17 მოგება — არ დაემხო.

**ოტავა — ბუფალო 1:1**

**0:0 1:0 0:1 0:0**

**1:0 იაშინი 26'55 (23); 1:1 პრიმო 42'14 (3)**

ორივე გუნდი კმაყოფილი უნდა იყოს — ბუფალომ შეწყვიტა 4-მატჩიანი უილბლო სერია, ოტავა კი კვლავ ალზევდა დივიზიონის სათავეში. აღსანიშნავია, რომ ამ კლუბებს შორის წლეულს გამართული ოთხივე შეხვედრას ოვერტაიმი დასჭირდა.

**ნიუ ჯერსი — ვანკუვერი 3:4**

**2:2 0:0 1:2**

**0:1 მეი 0'57 (4); 0:2 სკაჩარდი 5'06 (9); 1:2 დანეიკო 5'52 (2); 2:2 სტივენსი 13'11 (5); 3:2 ჰოლიკი 40'35 (21); 3:3 განიე 42'38 (5); 3:4 ბერტუცი 51'24 (6)**

„ეშმაკებს" ბოლო ხანს ერთი ცუდი თვისება დასჩემდათ — მატჩის მსვლელობაში მოპოვებულ უპირატესობას ანიავებენ და საბოლოოდ აგებენ კიდეც. ასე იყო ნეშვილთან და ტორონტოსთან შეხვედრებში (ორივეში 2:0 იგებდნენ) და ამჟამადაც ეს მოხდა. არადა, ნიუჯერსელებს კანადელთათვის ქულა მაინც უნდა წაერთმიათ, მაგრამ ჯეისონ არნოტს ზუსტი დარტყმა დაუგვიანდა — წამით ადრე საფინალო სირენა გაისმა. სტუმრებს კი გამარჯვება ტოდ ბერტუცის უჩვეულო გოლმა მოუტანა: მარტინ ბროდოსთან პირისპირ დარჩენილი ფორვარდი უეცრად შემოტრიალდა, მეკარე დააბნია და შაიბა იოლად გააძვია ბადეში.

**ედმონტონი — ბოსტონი 0:2**

**0:0 0:0 0:2**

**0:1 აქსელსონი 45'30 (6); 0:2 კარტერი 50'07 (7)**

ბოსტონი თითქოს უკეთესობისკენ წავიდა (რვამატჩიან წარუმატებელ სერიას „დათვებმა" ორი გამარჯვება მიაყოლეს), მათმა მეკარე ბაირონ დაფომ (31 მოგერიება) სეზონში მე-6 შატაუტი მიითვალა.

**ნეშვილი — დეტროიტი 2:5**

**1:1 1:4 0:0**

**0:1 ლარიონოვი 4'08 (9); 1:1 რონინგი 12'39 (13); 1:2 ფიოდოროვი 20'31 (13); 1:3 მოლტბი 24'58 (4); 1:4 შენაჰანი 27'57 (20); 2:4 ეტჩინამი 29'56 (7); 2:5 ლიდსტრიომი 33'12 (9)**

დეტროიტელმა ნიკლას ლიდსტრიომმა ლიგაში მე-400 ქულა მიითვალა, ხოლო მისმა პარტნიორმა ბრენდან შენაჰანმა ზედიზედ მე-11 სეზონში მიაღწია 20-შაიბიან ზღვარს.

**აილენდერსი — ვაშინგტონი 1:2**

**0:1 0:0 1:1**

**0:1 ოუტსი 19'52 (8); 0:2 ბონდრა 50'55 (25); 1:2 პალფი 59'13 (9)**

ვაშინგტონმა ზედიზედ მეხუთედ მოიგო და, როგორც ჩანს, სერიოზულად გადაუწყვეტია პლეი ოფში მოსახვედრად ბრძოლა. ადამ ოუთსის გამოჯანმრთელებისთანავე გამოცოცხლებულმა პეტერ ბონდრამ კი ამ ხნის განმავლობაში 9 გოლი გაიტანა.

**პიტსბურგი — მონრეალი 3:2**

**0:0 1:1 1:1 1:0**

**1:0 იაგრი 32'31 (24); 1:1 მალახოვი 38'48 (9); 1:2 დამფუსი 47'57 (9); 2:2 მილერი 57'19 (10); 3:2 კოვალიოვი 64'31 (17)**

მასპინძელთათვის ფრიად უსიამოვნო სურათი პიტსბურგმა ოდნავ შეამსუბუქა. ამისათვის იარომირ იაგრის(1+1) და მის გუნდს ოვერტაიმში მოუხდათ თამაში.



REUTERS

ნიუ ჯერსელთა მეკარე მარტინ ბროდომ მარკ მესიესაგან კარი ვეღარ დაიცვა

## სატურნირო ვითარება

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 51 | 28 | 8 | 15 | 149:111 | 64 |
| ტორონტო | 51 | 30 | 3 | 18 | 165:149 | 63 |
| ბუფალო | 51 | 24 | 9 | 18 | 136:109 | 57 |
| ბოსტონი | 52 | 22 | 9 | 21 | 132:120 | 53 |
| მონრეალი | 54 | 20 | 8 | 26 | 122:142 | 48 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 52 | 23 | 9 | 20 | 132:129 | 55 |
| ფლორიდა | 51 | 19 | 13 | 19 | 129:137 | 51 |
| ვაშინგტონი | 51 | 21 | 4 | 26 | 129:133 | 46 |
| ტამპა | 51 | 11 | 4 | 36 | 102:184 | 26 |

| ატლანტა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 50 | 28 | 12 | 10 | 159:100 | 68 |
| ნიუ ჯერსი | 52 | 29 | 6 | 17 | 150:131 | 64 |
| პიტსბურგი | 49 | 27 | 7 | 15 | 154:129 | 61 |
| რეინჯერსი | 51 | 20 | 7 | 24 | 137:140 | 47 |
| აილენდერსი | 53 | 16 | 5 | 32 | 126:164 | 37 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 53 | 26 | 4 | 23 | 155:136 | 56 |
| სენტ ლუისი | 49 | 20 | 9 | 20 | 133:127 | 49 |
| ნეშვილი | 52 | 18 | 5 | 29 | 119:167 | 41 |
| ჩიკაგო | 52 | 14 | 8 | 30 | 112:164 | 36 |

| წყნარი ოკეანე | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 48 | 30 | 8 | 10 | 141:99 | 68 |
| ფინიქსი | 50 | 27 | 10 | 13 | 133:103 | 64 |
| ანაჰაიმი | 51 | 20 | 9 | 22 | 130:125 | 49 |
| სან ხოსე | 51 | 17 | 12 | 22 | 114:120 | 46 |
| ლოს ანჯელესი | 51 | 19 | 4 | 28 | 122:137 | 42 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| კოლორადო | 53 | 29 | 4 | 20 | 144:126 | 62 |
| ედმონტონი | 51 | 20 | 8 | 23 | 140:132 | 48 |
| კალგარი | 54 | 18 | 8 | 28 | 133:158 | 44 |
| ვანკუვერი | 52 | 17 | 7 | 28 | 132:158 | 41 |

*ბომბარდირები:* იაგრი (პიტსბურგი) 77 (24+53); ლინდროსი 70 (29+41); ლეკლერი (ორივე — ფილადელფია) 66 (33+33); კარია (ანაჰაიმი) 66 (23+43); ფორსბერგი (კოლორადო) 61 (15+46); სელიანე (ანაჰაიმი) 60 (22+38); ფლერი (კალგარი) 58 (26+32); იაშინი (ოტავა) 58 (23+35); საკიკი (კოლორადო) 56 (24+32); რობიტაილი (ლოს ანჯელესი) 52 (29+23); სტრაკა (პიტსბურგი) 52 (23+29); ბრინდამორი (ფილადელფია) 52 (19+33); სუნდინი (ტორონტო) 52 (17+35).

## კვირის მოთამაშე

### პეტერ ბონდრა (ვაშინგტონი)



როგორც იქნა, შარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერმა პეტერ ბონდრამ მაყურებელს თავი შეახსენა. სეზონის პირველ ნახევარში სლოვაკი თავის თავს არ ჰგავდა (46 მატჩში მხოლოდ 16 გოლი გაიტანა), მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სამი თვის განმავლობაში მას მუდმივი პარტნიორი ადამ ოუთსი აკლდა, რომლის პასებმაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ბონდრას შარშანდელი წარმატება. დაბრუნდა ოუთსი და გოლეადორიც გამოცოცხლდა. გასულ კვირაში მან ზედიზედ მიითვალა პოკერი და ჰეთ-თრიქი და ეს დაფასდა კიდეც. თუ ბონდრამ ასე გააგრძელა, ვინ იცის, იქნებ ჯონ ლეკლერსაც კი შეეცილოს „მორის რიშარ ტროფს".

**საუკეთესო ექვსეული**

*პატრიკ რუა* (კოლორადო, 2); *იურკი ლუმე* (ფინიქსი, 2) — *სტივ დიუშენი* (ლოს ანჯელესი, 1); *იარომირ იაგრი* (პიტსბურგი, 4) — *ჯეისონ ელისონი* (ბოსტონი, 1) — *პეტერ ბონდრა* (ვაშინგტონი, 2).

## დეიგლის თავგადასავალი დასრულდა

ერთ-ერთ წინა „სარბიელში" გაუწყეთ, თუ რა მდგომარეობაში ჩააგდო ფილადელფიელი ალექსანდრ დეიგლი თავისმა სიჯიუტემ — იგი უსაქმოდ დარჩა და ლამის ედმონტონთან გამზადებული ტრეიდიც ჩაეშალა. მისდა ბედად, „მენავთობეთა" მესვეურებმა უმალ ნახეს გამოსავალი — ფილადელფიაში ანდრეი კოვალენკოზე გაცვლილი დეიგლი უმალ ტამპას მიჰყიდეს და მის ნაცვლად ალექსანდრ სელივანოვი შეიძინეს. ამგვარად, სამმაგი გაცვლა განხორციელდა. დეიგლიც კმაყოფილი დარჩა, რადგან ახალი კლუბის პატრონები დაპირდნენ, იმ ხელფასს შეგინარჩუნებთ, ფილადელფიაში რომ იღებდიო. ფორვარდმა „ელვების" შემადგენლობაში თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ თამაშიც მოასწრო.

**სამველ ღარიბიანი**



# მეცამეტე: ვისთვის თარსი, ვისთვის ოქრო



REUTERS

ლასე კიუსი, კეტილ ანდრე ამოდტი და პოლ აკოლა

კოლორადოს სამთო კურორტ ვეილში, სამთომოთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, ჯერ არ ყოფილა, რომ ავსტრიელი მოთხილამურეები საპრიზო სამეულის მიღმა დარჩენილიყვნენ. გუშინწინ კი, კაცთა კომბინაციაში, ავსტრიელთაგან საუკეთესო კრისტიან მაიერი (2:43.89) მხოლოდ მეოთხე იყო. აქვე უნდა გითხრათ, რომ თხილამურობის ამ სახეობაში არ უასპარეზია სუპერგიგანტსა და სწრაფდაშვებაში გამარჯვებულ ჰერმან მაიერს. ჰერმინატორი ძალებს, ალბათ, სლალომსა და გიგანტური სლალომისთვის ინახავს.

მაიერის არყოფნით კარგად ისარგებლეს მსოფლიოს თასის ნორვეგიელმა ლიდერებმა ლასე კიუსმა და კეტილ ანდრე ამოდტმა. თუ ლასე კიუსს კოლორადოში ოქროც და ვერცხლიც ჰქონდა მოპოვებული, ამოდტს ჯიბეში სწრაფდაშვებაში მოპოვებული ბრინჯაოლა ედო, მაგრამ ანდრემ კომბინაციის ორივე სახეობაში, (სწრაფდაშვება-სლალომი), ისევე როგორც 1997 წლის ჩემპიონატზე, ჩინებულად ისრიალა, ჯამში 2:43.09 წუთი აჩვენა და ოქროც ირგუნა. კიუსი (2:43.25) ამჯერად ვერცხლს დასჯერდა. ბრინჯაო კი სამთოთხილამურობის ვეტერანმა, შვეიცარიელმა პოლ აკოლამ (2:43.62) მოიპოვა.

კომბინაციაში მოგებული ოქრო კეტილ ანდრე ამოდტისთვის ოლიმპიადებსა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოპოვებული მეცამეტე მედალია, ამ შედეგით ნორვეგიელი გაუტოლდა ლეგენდარულ ლუქსემბურგელ მარკ ჟირარდელს, ვისაც კომბინაციაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული 1988-89-96 წლებში რგებია.

**ქვეყნების მონაგარი**

| | ო | ვ | ბ |
|---|---|---|---|
| ავსტრია | 4 | 3 | 3 |
| ნორვეგია | 2 | 2 | 1 |
| შვედეთი | 1 | - | - |
| საფრანგეთი | - | - | 1 |
| შვეიცარია | - | - | 1 |

**ვეილი. კოლორადო. აშშ. სამთოთხილამურობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კომბინაცია (სწრაფდაშვება-სლალომი)**

**კაცები**

| | | |
|---|---|---|
| 1. | კეტილ ანდრე ამოდტი (ნორვეგია) | 2:43.09 |
| 2. | ლასე კიუსი (ნორვეგია) | 2:43.25 |
| 3. | პოლ აკოლა (შვეიცარია) | 2:43:62 |
| 4. | კრისტიან მაიერი (ავსტრია) | 2:43.89 |
| 5. | ბრუნო კერნერი (შვეიცარია) | 2:44.92 |
| 6. | მიხაელ ვალჰოფერი (ავსტრია) | 2:44.98 |
| 7. | ალესანდრო ფატორი (იტალია) | 2:45.88 |
| 8. | ივეს დიმიე (საფრანგეთი) | 2:47.04 |
| 9. | ანდრეას ერტლი (გერმანია) | 2:48.06 |
| 10. | ივან ბორმოლინი (იტალია) | 2:48.27 |

**ტიტულები**

**კეტილ ანდრე ამოდტი**



1992 წლის ოლიმპიური ჩემპიონი სუპერგიგანტში, ბრინჯაოს პრიზიორი გიგანტურ სლალომში.
1994 წლის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი სწრაფდაშვებასა და კომბინაციაში, ბრინჯაოს პრიზიორი სუპერგიგანტში.
1991 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი სუპერგიგანტში.
1993 წლის მსოფლიოს ჩემპიონი სლალომსა და გიგანტურ სლალომში. ვიცე-ჩემპიონი კომბინაციაში.
1996 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი სუპერგიგანტში.
1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონი კომბინაციაში.
1999 წლის მსოფლიოს ჩემპიონი კომბინაციაში, ბრინჯაოს პრიზიორი სწრაფდაშვებაში.
მსოფლიოს თასზე მოგებული ეტაპები — 15; სწრაფდაშვება 1; გიგანტური სლალომი 6; სუპერგიგანტი 5; კომბინაცია 3.
1994 წლის მსოფლიოს თასის მფლობელი.
1993-97 წლების მსოფლიოს თასის ვიცე-ჩემპიონი.

### საქართველოს ეოკ-ი და ოლიმპიური აკადემია აცხადებს კონკურსს

ოლიმპიზმის საკითხთა ცოდნაში გამარჯვებულ სტუდენტთა გამოსავლენად. სპეციალური საგამოცდო ჟიურის მიერ შერჩეული თითო გოგონა და ვაჟი ორი კვირით (1999 წლის 20 ივლისიდან 3 აგვისტომდე) გაემგზავრება ოლიმპიაში საერთაშორისო ოლიმპიურ აკადემიაში 39-ე სესიაზე კურსების გასავლელად. მისი ძირითადი თემაა „ოლიმპიზმი", სპეციალური თემა — „ოლიმპიური იდეალი და კულტურა გლობალურ ეპოქაში".

სამუშაო ენები — ინგლისური და ფრანგული.

განცხადების შემოტანის უკანასკნელი ვადაა 1999 წლის თებერვალი.

გამოცდები ჩატარდება მარტში.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ საქართველოს ეოკ-ს (თბილისი, დავით აღმაშენებლის პროსპექტი 65. ტელ: 95-36-87)

REUTERS პიზადან



იტალია — ნორვეგია 0:0. მასპინძელთა თავდამსხმელს მარკო დელვეკიოს ანდრე ბერგდოლმო (№5) გადაღობა

## EURO 2000
### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

### VIII ჯგუფი

**მალტა 0:3 იუგოსლავია**

0:1, 0:2 ნადი (22, 55), 0:3 მილოშევიჩი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 7:1 | 6 |
| მაკედონია | 3 | 2 | 0 | 1 | 8:4 | 6 |
| იუგოსლავია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ხორვატია | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 6 |
| მალტა | 5 | 0 | 0 | 5 | 2:18 | 0 |

### VI ჯგუფი

**კვიპროსი 4:0 სან მარინო**

1:0 მალანარკიტისი (18), 2:0, 3:0 კონსტანტინუ (32, 45), 4:0 ხრისტოდულუ (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კვიპროსი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 9 |
| ავსტრია | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 7 |
| ისრაელი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:3 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| სან მარინო | 4 | 0 | 0 | 4 | 1:14 | 0 |

## ამხანაგური მატჩები

**პოლონეთი 1:1 ფინეთი**

1:0 კოვალჩიკი (1), 1:1 იოჰანსონი (20)

**ტუნისი 0:1 შვედეთი**

0:1 სოდერბერგი

**ხორვატია 0:1 დანია**

0:1 სანდი (45)

**ირლანდია 2:0 პარაგვაი**

1:0 ირვინი (393), 2:0 კონოლი (73)

**იტალია 0:0 ნორვეგია**

იტალია: პერუცი, პანუჩი (ტორიჩელი 46), კანავარო, ნესტა, მალდინი, ძამბროტა (ტოტი 61), დ. ბაჯო (კოისი 46), ალბერტინი, დი ფრანჩესკო, რ. ბაჯო (კიეზა 80), დელვეკიო

ნორვეგია: მირე, ჰეგემი, იონსენი, ბრაგსტადი, ბერგდოლმო, რუდი, მიუკლანდი, სოლბაკენი (სტრანდი 66), რეკდალი, ჰ. ფლო (რისეტი 74), სოლსკიაერი (კარეუ 90)

**ჰოლანდია 0:0 პორტუგალია**

**ინგლისი 0:2 საფრანგეთი**

0:1, 0:2 ანელკა (69, 76)

ინგლისი: სიმენი (მარტინი 46), დიქსონი (რ. ფერდინანდი 72), ადამსი, კიოუნი (სქოულზი 86), ლე სო, ბექემი, ინსი, რედნაპი (უილკოქსი 86), ანდერტონი, ოუენი (კოული 64), შირერი

საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი, დესაი, ბლანი (ლებეფი 46), ლიზარაზუ, დეშამპი (კანდელა 90), პეტი, ზიდანი, პირესი (დიუგარი 46), ჯორკაეფი (ვიეირა 84), ანელკა (ვილტორდი 84)

**ალბანეთი 2:0 მაკედონია**

1:0 ვატა (48), 2:0 ბოგდანი (90)

ალბანეთი: სტრაკოშა (ბექაი 82), პინარი, დალიპი (მერკოცი 74), ჯუმბა, ვატა, იუპი (დაბულა 65), ალთინ ჰაჯი, ბუში, კოლა (ბოგდანი 80), ჰალილი (მუკა 46), ტარე

# განაჩენს 17 მარტს გამოიტანენ

*საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში გამომჟღავნებული მექრთამეობის გამომკვლევი კომისიის თავმჯდომარემ, ოლიმპიური კომიტეტის კანადელმა ვიცე-პრეზიდენტმა რიჩარდ პაუნდმა (ფოტოზე) განაცხადა, რომ სოკ-ს რეფორმები სჭირდება.*

*კერძოდ, პაუნდმა თქვა, რომ კომიტეტის წევრად არჩევის წესი უნდა შეიცვალოს და მასში დაცვისა და კონტროლის მექანიზმები უნდა ამუშავდეს.*

*სკანდალის გამოსაძიებლად ცალკე შექმნილ, დამოუკიდებელ კომისიას უკვე მოუმზადებია თავისი საგამოძიებო შედეგების ამსახველი ტექსტი, თუმცა, პაუნდის კომისია ჯერ არ გასცნობია მას. მარტის დასაწყისისთვის ოლიმპიური და დამოუკიდებელი კომისიების ტექსტები შეჯერდება და ისე წარუდგება სოკ-ის კონგრესს, რომელიც 17 მარტს გაიმართება ლოზანაში.*

*მექრთამეობაში მხილებული 14 ოლიმპიური მოღვაწიდან ერთი უკვე გარდაიცვალა, ხუთი გადადგა, ხუთიც გადააყენეს, დარჩენილი სამის საქმეთა მოკვლევა კი გრძელდება.*

REUTERS მონრეალიდან



# ბიძაშვილები

*ბერლინში განთქმული კინოფესტივალი დაიწყო. იმდენად განთქმული, რომ მის გახსნაზე ფრანც ბეკენბაუერიც კი მივიდა და „ოქროს კამერაც" დაიჭირა ხელში, ფეხბურთი და კინო ბიძაშვილები მაინც არიან, რახან ორივე ცხოვრებას ასახავსო, თქვა საპატიო სტუმრად მიწვეულმა კაიზერმა.*



REUTERS ბერლინიდან




# სილამაზე ცქერით როდი გაცვდება...

სპორტი სილამაზეაო. სპორტი ეროტიკააო. სპორტი სპორტიაო. სპორტი საცურაო კოსტიუმიცაო. ამერიკული ჟურნალი „სპორტს ილუსტრეიტიდი" საგანგებოდ ჩაუღრმავდა საცურაო კოსტიუმსა და მის შიგნით და გარეთ არსებულ საგანთა რაობას. ამისთვის მოიწვია განთქმული ტოპმოდელები, რომელთა იერ-სახითაც დაამშვენა თავისი ჟურნალი. კალიფორნიელი რებეკა რომინსტამოსი (მარცხენა ფოტოზე) ყდაზე მოხვდა, ჩეხი ევა ჰერციგოვა (ფოტოზე მარცხნივ) და გერმანელი ჰეიდი კლუმი (ფოტოზე მარჯვნივ)კი შიდა ფურცლების გალამაზებას დასჯერდნენ. ისე კი, „სპორტს ილუსტრეიტიდს" მხოლოდ ამერიკაში 58 მილიონი კაცი კითხულობს და, ათვალიერებს. ქალებიანი ნომერი 10 თებერვალს გამოვა და ერთი, ათ მილიონ კაცს კიდევ გაეპარება თვალი მისკენ.

REUTERS ნიუიორკიდან



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვიჩა სანიკიძე უცხოური ფეხბურთის განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე ინფორმაციის განყოფილება ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29